შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№37 (10.092)

7-14 ოქტომბერი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ქვემო ქედში «ვაჟაობა» აღინიშნა

,,ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს“...

ქვემო ქედი, ორიოდე წელში, დაარსებიდან 120 წლისთავს იზეიმებს. შირაქში მთიელების, კერძოდ კი ფშავლების ჩამოსახლების იდეის სულისჩამდგმელი ვაჟა-ფშაველა იყო.

1889 წელს მეფის მთავრობამ გადაწყვიტა შირაქში გადმოესახლებინა რუსები. განზრახვამ ქართველ მთიელთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია. საპასუხოდ მათ ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაიწყეს შირაქში ჩამოსახლება და დამკვიდრება. ამ გაბედული გადაწყვეტილების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ვაჟა-ფშაველა, რომლის ძალისხმევითაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე სამუდამოდ დასახლდა შირაქში. შეიქმნა სოფლები: ზემო ქედი, ქვემო ქედი და არხილოსკალო.

ვაჟა-ფშაველამ, რომელიც არა მარტო უნიჭიერესი მწერალი იყო, არამედ საზოგადო მოღვაწეც, იზრუნა საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარე საზღვარზეც და მთიელ მოსახლეობაზეც - მთაში ცხოვრების მძიმე პირობები და მცირემიწიანი გარემო იყო. მან იცოდა, რომ საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთში ჩამოსახლებით გმირი მთიელები ცოცხალი საზღვრის ფუნქციას შეასრულებდნენ და თან შირაქის მადლიანი მიწა მათ სარჩო-საბადებელს არ გამოულევდა. ვაჟამ იდეა სისრულეში მოიყვანა. ასე გაჩნდა ქიზიყში სამი სოფელი: ზემო ქედი, არხილოსკალო და ქვემო ქედი. ყველგან მთიდან ჩამოსახლებული ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ქვემო ქედის მოსახლეობის უმეტესობას ფშავლები შეადგენენ. ისინი დღემდე ინახავენ და უფრთხილდებიან თავიანთ ტრადიციებს და კავშირსაც არ წყვეტენ თავის ფესვებთან.

პირველ ოქტომბერს სოფელმა „ვაჟაობას“ უმასპინძლა. საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე აქ პირველად აღინიშნა იმ კაცის სახელობის სახალხო დღესასწაული, რომელთანაც სოფლის დაარსება ასოცირდება. ღონისძიება სოფლის ცენტრში, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან მოეწყო, სადაც ზეიმზე დასასწრებად ადგილობრივებთან ერთად მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, თვითმმართველობის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები შეიკრიბნენ.

სპეციალურად ამ დღისთვის მოეწყო თემატური კუთხეები, ნახატების და ტრადიციული რეწვის ნიმუშების გამოფენა. ადგილობრივი და მოწვეული მომღერლების მონაწილეობით ჩატარდა კონცერტი. სოფლის მცხოვრებლებს „ვაჟაობის“ დღესასწაული მიულოცეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, ღონისძიების ერთ-ერთმა ინიციატორმა, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა, მწერლებმა და პოეტებმა: მაყვალა გონაშვილმა, მაია მიქაიამ, გაღათერ არაგულმა და ვანო ჩხიკვაძემ.

დღესასწაულის იდეა ეკუთვნის ნუგზარ პაპიაშვილს, რომელიც თავად ამ სოფლის მკვიდრია, აქ დაიბადა და გაიზარდა. ბავშვობიდან შეიყვარა ვაჟა-ფშაველა და მისი ნაწარმოებები. შემდეგ ქვეყნის დედაქალაქში ბევრ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იმუშავა, მაგრამ ბოლოს მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა.

ნუგზარ პაპიაშვილი: „დღეს მე გახარებული და დაბნეული ვარ. ჩვენ მეექვსე-მეშვიდე თაობა ვართ, ვინც უკვე ამ სოფელში ვცხოვრობთ მას შემდეგ, რაც ჩვენი წინაპრები აქ ჩამოსახლდნენ. მაგრამ დღემდე არ გვავიწყდება ჩვენი ფესვები-არც ჩვენი სალოცავები და არც დიდი ვაჟა. სოფელს ხან გზა არ ჰქონდა, ხან-ბუნებრივი აირი, ახლა ქვემო ქედს ორივე მათგანი აქვს, ვაჟა-ფშაველას ძეგლიც გახსნეს და მისი სახელობის სკვერიც... ვაჟა-ფშაველას დაფასების დროც მოვიდა. მე ბედნიერი ვარ, რომ დღეს საფუძველი ჩაეყარა ამ ბუმბერაზი ადამიანის სახელობის დღესასწაულს. და თუ ამ ხალხის აღტკინებულ სახეებს ხედავთ, ამ ბავშვების ანთებულ თვალებს, მაშინ ყველას დარწმუნებით მინდა გითხრათ-ასი წელიც რომ გავა, აქ „ვაჟაობას“ მაინც აღნიშნავენ.

„შენ მშობელ მთებზე იდექი,
როგორც რიგითი მხედარი,
მაგრამ ჰატარა ჩარგლიდან
მთელ დედამიწას ხედავდი“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი: „წელს საფუძველი ჩაეყარა მშვენიერ ღონისძიებას და დარწმუნებული ვარ, სანამ ამ მადლიან კუთხეში-კახეთში, ამ სოფელში ერთი ადამიანი, ერთი ფშაველი მაინც იქნება, მანამდე აღინიშნება ეს დღესასწაული. თქვენი, ყველას მადლიერი და ანთებული თვალები იმაზე მეტყველებს, რომ ასეთი დღესასწაულის დაარსება საჭირო იყო.

ის, რომ ვაჟა ბუმბერაზია, ის, რომ ვაჟა-ფშაველა მხოლოდ ფშავლებისა კი არა, მთელი საქართველოსია, ამაზე ყველა ვთანხმდებით. მაგრამ, ვაჟამ, გარდა იმ შემოქმედებისა, ძალიან კარგი ქართული საქმე გააკეთა-მისი დამსახურებაა, რომ საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე ფშავლები სახლობენ და დღეს აქ ქართული სიტყვა ისმის, დღეს აქ მართლმადიდებლობა ზეიმობს, დღეს აქ საქართველოა“...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ხუთ წარმატებულ ქვემო ქედელს მადლობის სიგელები გადასცა: **ბიზნესმენ ვაჟა ციგროშვილს, „ვაჟაობის“ ერთ-ერთ ორგანიზატორს სოსო მარტიაშვილს, სახალხო მთქმელ ეთერ ჩოხელს, მსახიობ ნონა ხუმარაშვილს, ახალგაზრდა პოეტ მარიამ ტოხიშვილს.**

ნონა ხუმარაშვილი: თუ ემოციას ვაჯობე, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა. სცენაზე კი გავიზარდე, მაგრამ ჩემი მშობლიური სოფლის აუდიტორიის წინაშე ძალიან დიდი ხანია, არ გამოვსულვარ. მადლობა ყველას, რომ ეს საოცარი დღე შექმნეს და გაგვილამაზეს საღამო. დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა ამ ბუმბერაზმა ადამიანმა და ყოველი ფშაველი და ქვემო ქედელი ამაყია ამით. ჩემს განცდებს გეტყვით: როგორც ბებიაჩემი, ჟამიაშვილების ქალი ამბობდა, ვაჟა რომ ჩამოვიდა, ჩვენ გვესტუმრა და დედაჩემმა ქათამი დაუკლაო. ეს მოგონებები ძალიან ემოციური და საინტერესო იყო ჩვენთვის და ხშირად ვაამბობინებდით-ხოლმე“.

ეთერ ჩოხელი: დიდი მადლობა ჩემი პატარა ღვაწლის დაფასებისთვის. ჩემთვის გამოცოცხლების დღეა, დღეს მეორედ ჩაუდგა სული ვაჟამ ქვემო ქედს - პირველად მაშინ, როცა ჩამოსახლება მოხდა და მეორედ ახლა. აღარ მეგონა, თუ ქედში ასეთ ლამაზ დღეს მოვესწრებოდი. ზაფხულიდან ვიცოდით და ვემზადებოდით ამ ღონისძიებისთვის. დიდი ბებიების ტრადიციული კაბები გავამზადეთ, რომ ჩაგვეცვა.

/გაგრძელება გვ.3/

ფქვილის შემდეგ, საიმპორტო გადასახადი ქერსა და ქატოზეც დაწესდა

საიმპორტო გადასახადი ფქვილის შემდგომ ქერსა და ქატოზეც დაწესდა. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, თენგიზ ნასარიძის განცხადებით, ქერისა და ქატოს იმპორტზე გადასახადი 100 ლარით განისაზღვრა.

რაც შეეხება ფქვილის საიმპორტო გადასახადს, რომელიც 10 ივნისიდან მოქმედებს, ის 50 ლარით, 250 ლარამდე გაიზარდა. ამასთან, საიმპორტო გადასახადის მექანიზმი 2024 წლის პირველ მარტამდე გახანგრძლივდა.

მინისტრის მოადგილემ განმარტა, რომ გადაწყვეტილება ადგილობრივი ხორბლის რეალიზაციის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ როგორც წინა შემთხვევაში, ისე ახლაც იმპორტზე დაწესებული გადასახადი პურის ფასზე არ იმოქმედებს.

„საკმაოდ კომპლექსურად ხდება იმ ზომების შემუშავება, რომლებიც, ვთვლით, რომ გამოსავალი იქნება ამ ეტაპზე. ამ გადაწყვეტილებებსაც, რა თქმა უნდა, წინ უძღოდა აქტიური კომუნიკაცია [მხარეებთან] და მათი რეკომენდაციებითაც, ერთობლივად შემუშავდა დახმარების პაკეტი, რომელიც, ხაზი უნდა გაესვას, რომ დროებითი მექანიზმია. ბაზარზე არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ შემდგომში მოხდება შესაბამისი კორექტირება“,- განაცხადა თენგიზ ნასარიძემ.

ცნობისთვის, იმპორტირებულ ფქვილზე დროებითი გადასახადი 10 ივნისს დაწესდა, რასაც წინ უძღოდა ადგილობრივი ხორბლის მარაგების რეალიზაციის პრობლემა. საიმპორტო გადასახადის დროებითი მექანიზმი მიზნად ისახავს, ადგილობრივი ხორბლის შესყიდვის ხელშეწყობას.

პროექტი «ბიოსფერული რეზერვატები, როგორც საქართველოში მდგრადი განვითარების მოდელი» გაიხსნა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე პროექტის „ბიოსფერული რეზერვატები, როგორც საქართველოში მდგრადი განვითარების მოდელი“ გახსნის ღონისძიებას დაესწრო.

„საქართველოში პირველად, UNESCO-მ „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი“ და „სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი“ აღიარა და ბიოსფერული რეზერვატების საერთაშორისო ნუსხაში შეიტანა. გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით, უკვე დაიწყო პროცესის აღსრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სტატუსის მქონე ტერიტორიებს, როგორც ბიომრავალფეროვნების დაცვის, ისე სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების კუთხით, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერებას“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ იური ნოზაძემ.

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, პროექტის „ბიოსფერული რეზერვატები, როგორც საქართველოში მდგრადი განვითარების მოდელი“ ფარგლებში, შეიქმნება მმართველი ორგანო. პროექტის მიზანს კოორდინირებული და ეფექტური მართვის შესაძლებლობების გაძლიერება წარმოადგენს.

შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პროექტს, გერმანიის გარემოს, ბუნების კონსერვაციის, ბირთვული უსაფრთხოებისა და მომხმარებელთა დაცვის ფედერალური სამინისტროს (BMUV) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მეშვეობით, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (Rec Caucasus) ახორციელებს.

„გვინდა დავეხმაროთ დაზარალებულ მევენახეებს“

„როგორც 2 წლის წინ გავაკეთეთ, ახლაც გვინდა დავეხმაროთ დაზარალებულ მევენახეებს და დაზიანებულ 1 ჰექტარზე 3500 ლარი გამოვუყოთ დახმარების სახით“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს დაეხმარება მათ, რომ გამოიყენონ მიზნობრივად, დაზიანებული ვენახის გადარჩენაში და შემდეგ კვლავ აღდგენაში.

„მინდა, კიდევ ერთხელ, ჩვენი საზოგადოებისთვის განვმარტო შემდეგი გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც ჩვენ მივიღეთ რამდენიმე დღის წინ.

მოგეხსენებათ, რომ კახეთის რეგიონში ახლა მიმდინარეობს ძალიან წარმატებულად რთველი, მე პირადად მოვინახულე, ადგილზე ჩავედი და სიტუაცია არის ძალიან კარგი. ჩვენ მაქსიმალურად ვეხმარებით ჩვენს ხალხს. მევენახეებს, სამწუხაროდ, ძალიან ბევრს დაესეტყვა ათასობით ჰექტარი ვენახი, განადგურდა მათი მოსავალი, მიუხედავად იმისა, ჩვენ ვთქვით, რომ, რა თქმა უნდა, ამ დაზიანებულ ყურძენს ჩავიბარებთ და ჩავიბარეთ კიდევაც, უკვე დაწყებულია პროცესი.

20 მლნ ლარის ღირებულების დაზიანებული, დასეტყვილი ყურძენი უკვე ჩაბარებული გვაქვს, მაგრამ ამის მიუხედავად, ვინაიდან მათ ზიანი მიადგათ, გადავწყვიტეთ, როგორც 2 წლის წინ გავაკეთეთ, ახლაც გვინდა დავეხმაროთ დაზარალებულ მევენახეებს და დაზიანებულ 1 ჰექტარზე 3500 ლარი გამოვუყოთ დახმარების სახით. ვფიქრობ, ეს დაეხმარება მათ, რომ გამოიყენონ მიზნობრივად ამ დაზიანებული ვენახის გადარჩენაში და შემდეგ კვლავ აღდგენაში“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, დაეხმაროს ფერმერებს, რომლებიც ჩართულნი არიან ხორბლის წარმოებაში.

„მინდა, ძალიან მოკლე ინფორმაცია გავაცნო საზოგადოებას, ხორბლის წარმოებაში ჩართულ ჩვენს მოქალაქეებს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ საკმაოდ შემცირებულია ფასები ხორბალზე. ეს არ არის ჩვენზე დამოკიდებული, ვინაიდან ეს არის საერთაშორისო ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გამოძახილი. ასე, რომ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ფერმერებს, რომლებიც ჩართულნი არიან ხორბლის წარმოებაში, დავეხმაროთ. ჩვენ მანამდე უკვე გადავდგით კონკრეტული ეფექტური ნაბიჯები – 4000-მდე ფერმერს დავეხმარეთ შეღავათიანი აგროკრედიტით; დავუფინანსეთ საბრუნავი სახსრები და მივეცით სტიმული, მარცვლოვანი კულტურების წარმოება გაეზარდათ.

ასევე – მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ფქვილის იმპორტზე დაწესებულიყო დამატებითი საფასური, რამაც კონკურენტულ მდგომარეობაში ჩააყენა წისქვილკომბინატები საქართველოში. ამის შემდეგ მათ განახორციელეს ქართული ხორბლის შესყიდვა და პურის მწარმოებლებისთვის ისეთი პირობებით მიწოდება, რომ პური არ გაძვირდა. ფქვილის საფასურის დაწევის შემდეგ 35 000 ტონა ხორბალი მიიღეს ადგილობრივმა წისქვილკომბინატებმა. ასევე, დროებითი ღონისძიებები განხორციელდა ღერღილი ხორბლის იმპორტის მიმართულებით, თუმცა, მსოფლიო ბაზარზე ხორბალთან დაკავშირებული არასტაბილური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენ დამატებითი ზომების მიღებაზე შევთანხმდით.

ამის თაობაზე სოფლის მეურნეობის სამინისტრო დამატებით განმარტებას გააკეთებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ. ჩვენ მაქსიმალურად დავეხმარებით ყველა ფერმერს, ასე რომ მათ საფიქრალი და სანერვიულო არ ექნებათ“, - განაცხადა პრემიერმა.

„პირველ ნაბიჯებს დაგილოცავთ“



2023 წლის 29 სექტემბერს ფიროსმანის სკვერში თავი მოიყარეს სამრეკლოს, ხორნაბუჯის, პირველი და მეორე საჯარო სკოლების და წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის პირველკლასელებმა ღონისძიებაზე „პირველი ნაბიჯები“. **„პირველ ნაბიჯებს დაგილოცავთ, ჩემო პატარებო. წარმატებულ და საინტერესო მოსწავლეობას გისურვებთ“** - აღნიშნა ღონისძიების ორგანიზატორმა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინტელექტუალური წრის ხელმძღვანელმა **თამარ აგულაძემ.**

თანატოლებმა გაიცნეს ერთმანეთი და ენთუზიაზმით თქვეს ლექსები.

ღვინის დღეები საქართველოში

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, 7-15 ოქტომბერს ღვინის დღეები აღინიშნება.

ღვინის დღეები კახეთის რვავე მუნიციპალიტეტში გაიმართება.

ღვინის დღეები დედოფლისწყაროში 10 ოქტომბერს, კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდება.

საფესტივალო პროგრამა 17:00 საათზე დაიწყება.

17:00-21:00 კახური ღვინის დეგუსტაცია და გამოფენა-გაყიდვა.

17:00-21:00 კვების სივრცე: დედას პური, მწვადი, ყველი, ჩურჩხელა; ქართული ნუგბარი.

17:00-21:00 პურის ცხობა, ჩურჩხელების ამოვლება, თათარას მომზადება.

17:00-20:00 თიხით ძერწვის და თიხაზე ხატვის გაკვეთილები.

17:00-17:30 მეგა ბუშტებით საზეიმო მსვლელობა.

17:00-20:00 საბავშვო გასართობი სივრცეები და აქტივობები: ყურძნის დაწურვის ჩემპიონატი, ღვინის ფიალების მოხატვა და სხვ.

17:00- 19:00 ქართული ცეკვის გაკვეთილები - ცეკვის აკადემია „სუხიშვილები“.

19:00-21:00 კონცერტი: „ქართული ხმები და ბენდი“ , ჯგუფი - „გუფი ლენდი“.

შარლ მიშელი - გაფართოება ნიშნავს, რომ კანდიდატმა ქვეყნებმა რეფორმები უნდა განახორციელონ

„გაფართოება ნიშნავს, რომ კანდიდატმა ქვეყნებმა უნდა განახორციელონ რეფორმები. მათ იციან, რა არის გასაკეთებელი“, - ამის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმა ესპანეთის ქალაქ გრანადაში ჟურნალისტებს განუცხადა, სადაც ევროპული საბჭოს არაფორმალური შეხვედრა მიმდინარეობდა.

მისი თქმით, ევროკავშირის მხრიდან საჭიროა გაფართოებისთვის მომზადება.

„ჩვენ გვჭირდება მოვემზადოთ. ბევრი წლის განმავლობაში პირველად ხდება, რომ გვაქვს ასეთი მაღალი დონის დებატები ფუნდამენტურ საკითხებზე. ეს იქნება ევროკავშირის საბჭოს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა, რადგან ეს არის სტრატეგიულ დღის წესრიგზე დებატების დაწყების საწყისი ეტაპი.

უნდა გავარკვიოთ რამდენიმე საკითხი: პირველი, რა გვსურს ერთობლივად მომავალში, რა არის ჩვენი პრიორიტეტები, საერთო პოლიტიკა, გაფართოების პერსპექტივიდან გამომდინარე. მეორე, როგორ ვწყვეტთ საკითხებს ერთად და მესამე, როგორ ვაფინანსებთ ჩვენ პრიორიტეტებსა და ინიციატივებს მომავალში“, - აღნიშნა შარლ მიშელმა.

ხორბლის, სიმინდის და ლობიოს ტრადიციული ჯიშების შენარჩუნებისთვის ახალი პროექტი დაიწყო

ხორბლის, სიმინდის და ლობიოს ტრადიციული ჯიშების შენარჩუნების მიზნით, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) საგრანტო პროექტს იწყებს.

პროექტი „კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებული ტრადიციული ჯიშების შენარჩუნება ფერმერულ მეურნეობებში, in-situ და ex-situ კონსერვაციის ფორმებს შორის კავშირის გაძლიერება“ 4 წლიანია და ის საქართველოს 8 რეგიონში განხორციელდება. პროექტის მთავარი მიზანი საქართველოში სამიზნე კულტურების კოლექციების არსებული მდგომარეობის შესწავლა, მცენარეთა გენეტიკური ბანკის კოლექციის გამდიდრება, საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი და უცხოურ გენბაკებში განთავსებული სამიზნე კულტურების გენეტიკური რესურსების დაბრუნება და, გენეტიკური რესურსების შეგროვების მიზნით, ექსპედიციების მოწყობაა. პროექტი ასევე ითვალისწინებს ხორბლის, სიმინდის და ლობიოს კულტურებისთვის მინდვრის ცდების მოწყობას, რომლის შედეგებიც მცენარეთა გენეტიკური რესურსების გენბანკის ადგილობრივ მონაცემთა ბაზაში და ევროპულ კატალოგში (EURISCO) აიტვირთება.

პროექტის განხორციელების შედეგად, გაუმჯობესდება ტრადიციული ჯიშების გამოყენება და კონსერვაცია, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ხელმისაწვდომი გახდება სამიზნე კულტურების კოლექციების მორფოლოგიური, აგროსამეურნეო და საპასპორტო მონაცემები, ხელი შეეწყობა ადგილობრივი ჯიშების ფერმერული მეურნეობების პირობებში გავრცელებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, მცენარეთა ხანგრძლივი ex-situ კონსერვაციისთვის დანერგილი იქნება ხარისხის მართვის სისტემა და ეროვნული პროტოკოლები, ფერმერულ მეურნეობებს გადაეცემათ ტრადიციული ჯიშების სათესლე მასალა.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ფერმერებისთვის სამუშაო შეხვედრების, მინდვრის დღეების, ონლაინ ვებინარებისა და გამოფენა-გაყიდვის მოწყობა.

ქვემო ქედში „ვაჟაობა“ აღინიშნა

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/

მარიამ ტოხიშვილი: „ისტორიულ მიწაზე ჩამოასახლა ვაჟა-ფშაველამ ჩვენი წინაპრები, ქვემო ქედში პატარა გოჯზეც კი შეხვდებით ბრძოლის ველზე დაღუპულთა ძვლებს, ხმლებს, ჩაჩქანს, იარაღს... იქიდან ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამი ანათებს... ვაჟაობაზე ბევრჯერ ვყოფილვარ ფშავში, ჩარგალში. მაშინ გულში ფიქრადაც ვერ გავივლებდი, რომ ჩემს მშობლიურ სოფელშიც შეიძლებოდა ამ ტრადიციის დამკვიდრება (ოცნებად კი, რა თქმა უნდა, ყოველთვის მქონდა)... პირველად რომ გავიგე ამ იდეის შესახებ, ვიცოდი, რომ ეს იქნებოდა სახალხო დღესასწაული! ქედელების ოცნება ხდებოდა! ბედნიერი ვარ, რომ ამ ყველაფრის ნაწილი ვიყავი...

ფშავლებში გაზრდილმა, ფშაურივე გენეტიკის ზეგავლენით, პატარაობიდან ავიდგი „პოეტური ენა“. ეს შემამჩნიეს თუ არა, ყველამ დაიწყო ამ პატარა ნაპერწკლის გაღვივება ჩემში (მეც მეტი რაღა მჭირდებოდა)... არ ვიცი, 22 წლის ასაკში „ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და ქართული პოეზიის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისთვის“ დედოფლისწყაროს მერიის ჯილდო დამსახურებულად მეკუთნის თუ არა, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ უსაზღვროდ ბედნიერი და ფრთებშესხმული ვარ! იმასაც ვიტყვი, რომ არც ამ ჯილდოს იდეის ავტორებს, არც ჩემს მშობლიურ სოფელს, არც რაიონს და განსაკუთრებით - არც ჩემს მშობელ დედას, არასდროს გავუცრუებ იმედებს და ვეცდები ისინი ბოლომდე გავამართლო!“

პირველ ოქტომბერს ქვემო ქედი ახმიანდა, ყველა ბედნიერი იყო. იხსენებდნენ ვაჟა-ფშაველას, მის შემოქმედებას და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ წინაპართა ნამბობის გახსენებაში, სოფელში პირველი ხნულის გავლებისას ვის ოჯახს სტუმრობდა მთის არწივი - ვაჟა-ფშაველა.

სახალხო დღესასწაული ამიერიდან ტრადიციის სახეს მიიღებს და ის ყოველ წელს, ოქტომბრის პირველ კვირაში გაიმართება.

ინგა შიოლაშვილი
ილია მარტყოფლიშვილი

შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონთან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი პარატაეკვონდოში მსოფლიო ჩემპიონ გიორგი ხიზანიშვილს შეხვდა და ჩემპიონობა პირადად მიულოცა. არბოშიკელმა პარასპორტსმენმა მსოფლიო პირველობა მექსიკაში გამართულ ჩემპიონატზე მოიპოვა. გიორგი გასულ წელს ასევე დაეუფლა ევროპის ჩემპიონის ტიტულს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სპორტსმენს მადლობის სიგელი და სიმბოლური 5 000 ლარიანი ვაუჩერი გადასცა, აღნიშნულ თანხას გიორგი ხიზანიშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისგან მიიღებს.

მუნიციპალიტეტის მერმა ახალგაზრდა პარასპორტსმენს ახალგაზრდულ და შშმ



პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობა შესთავაზა.

გიორგი ხიზანიშვილი ამჟამად პარაოლიმპიადისთვის ემზადება, რომელიც მომავალ წელს გაიმართება.

მერიაში გამართულ შეხვედრას მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა სამუკაშვილი, ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელი ლია მაისურაძე, საკრებულოს მაჟორიტარი წევრი არსენ ბაღაშვილი და მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი დოდო ხუნაშვილი ესწრებოდნენ.

როდის გასუფთავდება წყალი?

ზაფხული შედარებით იოლად გადაიტანეს ქალაქ დედოფლისწყაროს მაცხოვრებლებმა. უნდა ითქვას, რომ წელს წყალმომარაგების პრობლემა თითქმის არ გამწვავებულა. დროზე ადრე დასრულდა მდინარე იორზე დაწყებული წყალმომარაგების სისტემის მასშტაბური სამუშაოები და უკვე მერამდენე თვეა დედოფლისწყაროს მუდმივი წყალი აქვს. თუმცა, ვიდრე ხალხი ამოისუნთქებდა, ახლა სხვა პრობლემებმა იჩინა თავი. წყლის გაშვებისთანავე იმატა ქსელში ავარიების რაოდენობამ. წყალი კი ხშირად ამღვრეული მოდის და მოჰყვება ქვიშა, რაც ადგილობრივების უკმაყოფილებას იწვევს. დედოფლისწყაროელები წუხან, რომ ყველა ოჯახს არ შეუძლია სასმელი წყლის მუდმივად შეძენა, ან წყაროებიდან ავტომობილით მომარაგება.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის უფროსი დავით დუღაშვილი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ მთავარ რეზერვუარში კამკამა წყალია და შეფერილი სულაც არ არის. მისივე თქმით, წყალი ფერს ქსელში წარმოქმნილი დაზიანებების შედეგად იღებს. კომპანიის ადგილობრივი ხელმძღვანელი ირწმუნება, რომ აქტიურად მიმდინარეობს როგორც ლაბორატორიული კვლევები, ისე დაქლორვის პროცესი. ამდენად, პასუხისმგებლობას იღებს, რომ დედოფლისწყაროში წყალი ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა.

დავით დუღაშვილი: „ბევრ ადგილას ტექნიკური სამუშაოები მიმდინარეობს, ერთი ჯგუფი კანალიზაციის სისტემის მონტაჟზე მუშაობს, მეორე სკოლასთან, მესამე სხვა ადგილზეა გაშვებული. ძალიან ხშირად სკდება მილები, შესაბამისად, როცა სისტემა დაზიანებულია, იქიდან იჟონება... ამ დაზიანებების გამო მომენტალურად ფერს იცვლის ხოლმე. მთლიანად მოპოვებული წყლის რესურსი არ არის შეფერილი, ავარიების შედეგად ვიღებთ ამ ვითარებას. დღეში 4-5 ავარიული შემთხვევა ფიქსირდება. აი ახლაც, სკოლის ეზოში არსებული დაზიანების შესახებ დაგვირეკეს და რეაგირება ითხოვეს. გველოდებიან, რომ ვიმოქმედოთ. გახშირდა ავარიები, რომელიც სამშენებლო სამუშაოებითაა გამოწვეული. წნევის მატებასაც უკავშირებდნენ. იმ დებეტთან შედარებით, რაც აქამდე გვქონდა, ცხადია რაოდენობამ წნევის მატებაც გამოიწვია, მაგრამ ამდენი ავარიები მხოლოდ წნევას დავაბრალოთ, არ იქნება სწორი. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა წნევამ დააზიანა, მაგრამ ეს იყო ერთეული შემთხვევები და ყოველდღიურად 5 ავარია მაინც გვაქვს.

— ბატონო დავით, თქვენ ამტკიცებთ, რომ დალის მთის ახალი ჭაბურღილებიდან სუფთა წყლის მარაგი მოიპოვება და იქიდან ამოსულ წყალს ფერი არ აქვს?

— ჩვენთვის ამოსავალი წერტილია მთავარი რეზერვუარი, სადაც წყალს ვაგროვებთ. იქ ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ გვაქვს. რომ ჩავიხედოთ, სუფთა, კამკამა წყალია, 5 მეტრიან სიღრმეზე ძირი ჩანს... რაღაც რაოდენობა ძირში ქვიშის ნადები შეიძლება გაიკეთოს, რაც ბუნებრივად შემოყვება წყალს, მაგრამ მთლიანობაში რეზერვუარში დაგროვებული წყლის ფერი გამჭვირვალეა. მოგეხსენებათ, რეზერვუარს ცალკე განყოფილება აქვს, საიდანაც ნალექი გამოდის, სუფთავდება, ირეცხება. არც ეს ქმნის პრობლემას.

— იფილტრება თუ არა წყალი?

— ჭაბურღილებს ფილტრები არ აქვს. სიღრმეში ხომ ქანებია, ამიტომ ამოტუმბვის დაწყებამდე ჯერ ჩართავენ, დაწმენდენ წყალს და შემდეგ ისე დასუფთავებულს უშვებენ სისტემაში. თავდაპირველად ექვსი ჭაბურღილი იყო, მაგრამ რადგან დიდი პროექტია და მომავალზეა გათვლილი, არსებობს რისკი, რომ წლების შემდეგ დებეტი ნელ-ნელა შემცირდეს, გადაწყდა კიდევ სამი ჭაბურღილი დაემატებინათ. კიდევ სამ ლოკაციაზე გაბურღეს და სულ ცხრა ჭაბურღილი გაკეთდა. არასწორია გავრცელებული ხმები, თითქოს ახლადგახსნილი რომელიმე ჭაბურღილი დაიხურა, პირიქით, დაემატა. მერვე და მეცხრე ჭაბურღილებია ისეთი კარგი, რომ დანარჩენი შვიდი რომ გააჩერო, მხოლოდ ეს ორი მოახდენს ჩვენს უზრუნველყოფას. იმდენია მარაგი, სრულად ვერც ვიყენებთ, დიდი რაოდენობის წყალი ამოვიდა. ამ ეტაპისთვის მთლიან მარაგს არც ვტუმბავთ დედოფლისწყაროში, რადგან არ გვჭირდება. აქ რომ შემოვუშვათ, მერე უკვე იღვრება. იმდენად ბევრი რესურსი იღვრება, რომ რეზერვუარის უკან მდებარე მიწის ნაკვეთები ხალხს დაუჭაობდა. რადგან მარაგი დიდია, გადაწყდა, რომ რამდენიმე დღეში მოვამარაგოთ სოფელი გამარჯვებაც და მათი რეზერვუარი შევავსოთ. ეტაპობრივად დაემატება დანარჩენი მხარეებიც, ოზაანი, მირზაანი...

— რა სიხშირით ამოწმებთ წყლის ხარისხსა და ვარგისიანობას?

— მთავარ რეზერვუარშიც ვამოწმებთ წყლის ხარისხს და ლაბორატორიულ სინჯებს ვაკეთებთ დამხმარე ნაგებობებშიც. შერჩევით ვახორციელებთ ამ პროცესს. ხან მაზოვკაში, ხან მთავარ რეზერვუარში, ზოგჯერ ჭავჭავაძის ქუჩაზე, ხანაც სამრეკლოში. ყველა მხრიდან ვიღებთ სინჯებს, ვამოწმებთ, რომ მავნე ნივთიერება არაფერი იყოს, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნის. ცხადია წყალი დადგენილი წესისა და ნორმების მიხედვით იქლორება კიდეც. კვირაში შეიძლება 3-4 ჯერ გავაკეთოთ. თუ საჭიროება მოითხოვს, ან რაიმეში ეჭვი გვეპარება, შეიძლება ყოველდღე, ან დღეში რამდენჯერმეც გაკეთდეს ანალიზი. აუცილებლობიდან გამომდინარე ვმოქმედებთ. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია იღებს პასუხისმგებლობას, რომ წყალი სასმელად უსაფრთხო და ვარგისია. თუმცა, წყლის ქსელში გაშვებისთანავე კომპანიისგან აბონენტებთან გაიგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინებები, რომ მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები და მის დასრულებამდე წყალი სატესტო რეჟიმშია გაშვებული. ამჟამად ეს სატესტო პერიოდია. კომპანიამ პატივი გვცა, დროზე ადრე დაასრულა სამუშაოები და გვაწვდის წყალს, თორემ 2024 წლის ივლისში უნდა ჩაბარდეს სამუშაოები მთლიანად. ალბათ, ამ დრომდე ჩაითვლება სატესტო რეჟიმი. მანამდე ის კომპანიაც აგრძელებს მუშაობას, რომელმაც ჭაბურღილები გააკეთა და ქალაქ დედოფლისწყარომდე მაგისტრალი ააშენა. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ასეთ რამეს ამბობს, რომ რადგან სამუშაოები არ დასრულებულა, მიზანშეწონილია წყალი გამოვიყენოთ მხოლოდ ტექნიკური დანიშნულებით და არა სასმელად. თორემ, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელია და მავნე მინარევებსაც არ შეიცავს. ჩვენს კომპანიას არ უთქვამს, რომ წყალი სასმელად უვარგისია, ან სახიფათოა. უბრალოდ, აქტიური ტექნიკური სამუშაოების გათვალისწინებით, რეკომენდირებული არ არის. ჩვენი რეკომენდაცია არის, რომ დროებით, სანამ სამუშაოები დასრულდება, ნუ გამოვიყენებთ სასმელად. ჯერ მშენებელ კომპანიას სამუშაოების საწარმოებლად ოფიციალური ვადა კიდევ აქვს და შემდეგ გადმოგვცემს სისტემას ჩვენ. ახლა ეს დიდი პროექტი დამთავრებულად არ ითვლება. ეს იყო კომპანიის კეთილი ნება და მათი სწრაფი მოქმედების შედეგი, რომ დაჩქარებულ რეჟიმში გამოუშვეს წყალი, რადგან რთული მდგომარეობა გვქონდა და ცისტერნებით გვიხდებოდა ხალხის მომარაგება. ამით თავიდან ავირიდეთ მრავალი წლის განმავლობაში მოქმედი წყლის გრაფიკი, რომელიც დღეგამოშვებით მიწოდებას ითვალისწინებდა. ვფიქრობ, მალე აღმოიფხვრება ეს ხარვეზიც და მალე გაიწმინდება წყლის ფერიც. ეს პრობლემა სამუშაოების დასრულებისთანავე მოგვარდება.

ილია მარტყოფლიშვილი

როგორ შეძლებენ სტატუსშეჩერებული სტუდენტები უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებას?

საქართველოს მთავრობამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის დავალიანების განულების შესახებ დადგენილება საკანონმდებლო მაცნეზე უკვე გამოაქვეყნა.

დადგენილების თანახმად, წესი განსაზღვრავს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწავლის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, ფინანსური დავალიანების საფუძველით/ ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებულ სტუდენტს ფინანსური დავალიანება ჩამოაწეროს. განათლების სამინისტრო დავალიანების მქონე სტუდენტებისთვის სწავლის საფასურს უნივერსიტეტების მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი და გავლილი სიების საფუძველზე გამოყოფს. სტუდენტი, რომელსაც ამ წესის შესაბამისად ჩამოეწერება ფინანსური დავალიანება, უფლებამოსილია, აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში.

„საქართველოს მოქალაქეობის მქონე ან პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობდა საქართველოში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად, რომელსაც, ფინანსური დავალიანების საფუძვლით, 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი და სტატუსის შეჩერებიდან არ არის გასული 5 წელი” - წერია დადგენილებაში.

დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ფინანსური დავალიანების საფუძველი სტატუსშეჩერებული სტუდენტების მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით გადასახდელი სწავლის საფასურის ჩამოწერის შემთხვევაში, განათლების სამინისტრო ამ სტუდენტების მიერ უნივერსიტეტებისთვის გადასახდელი სწავლის საფასურის 20%-ს გადაუხდის.

წესი გავრცელდება 2023 წლის 15 სექტემბრიდან ამ წესის შესაბამისად წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ფეხბურთელ გოგონათა გუნდის წარმატება

ბევრმა თქვენგანმა შესაძლოა არ იცის, რომ დედოფლისწყაროს ფეხბურთელ გოგონათა საკმაოდ აქტიური გუნდი ჰყავს.

ქ. ახმეტაში გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში დედოფლისწყაროსა და ახმეტის მუნიციპალიტეტის გოგონათა გუნდებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ახმეტა გახლდათ შეჯიბრის მასპინძელი, დედოფლისწყაროს გუნდმა - „ანგელოზები“, დაძაბული ბრძოლის შემდეგ, სძლია მასპინძელს. შეხვედრა დასრულდა 4:3. ოთხივე გოლი დედოფლისწყაროელმა აქტიურმა ფეხბურთელმა **ანა ზირაქიშვილმა** გაიტანა.

ამას გარდა, 12 სექტემბერს, ქ. ლაგოდეხში გაიმართა ტურნირი ფეხბურთში, ქალთა გუნდებს შორის, სადაც მონაწილეობას იღებდნენ გუნდები საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქობულეთისა და დედოფლისწყაროს გოგონათა გუნდები. შედეგების მიხედვით, პირველ ადგილზე გავიდა ქობულეთის გუნდი, მეორე ადგილზე- დედოფლისწყაროს „ანგელოზები“.

გაზეთი „შირაქი“ ფეხბურთელ გოგონებს და მათ მწვრთნელს გაესაუბრა და გუნდის მოტივაციითა თუ სამომავლო გეგმებით დაინტერესდა.

ზურაბ ჩალაბაშვილი (მწვრთნელი): „ბოლო თამაშებიც წარმატებული იყო, ისევე როგორც მანამდე. კმაყოფილი ვარ, მათი გამოსვლით. ახმეტელებმა ისიც კი თქვეს, ამ გოგონებს ანგელოზები კი არა - კრაზანები უნდა ერქვათო... მეოთხე წელია გოგონათა გუნდი შევქმენით. თავდაპირველად სოფელ ფიროსმანში იყვნენ კარგი მონაცემების მქონე გოგონები. იმდენად კარგი შესაძლებლობები აქვთ, რომ ახმეტისა და სხვა რაიონების გოგონათა გუნდებს ეხმარებოდნენ ხოლმე და სხვაგან სათამაშოდ უწევდათ სიარული. რაკი დაიხვეწნენ, გადავწყვიტეთ, სერიოზულად მოვკიდებოდით გოგონათა გუნდს და სხვა მსურველებიც მოგვეძებნა. არხილოსკალოშიც გამოჩნდნენ ნიჭიერი გოგონები. თავი მოვუყარე დაინტერესებულ გოგონებს და დავიწყეთ ვარჯიში. მალე რაიონის ჩემპიონები გახდნენ, მერე თელავში, კახეთის პირველობაზე წავიდნენ, სადაც ახმეტასაც მოუგეს და თელავსაც. შედეგად, ანაკლიაში 10 დღიანი დასვენება მოიგეს. ამან მეტი სტიმული მოგვცა. შემდეგ სხვა ადგილობრივებიც შევარჩიე, სასკოლო ოლიმპიადებზე მქონდა შესაძლებლობა სხვა ნიჭიერი გოგონებიც ამეყვანა. ახლა 20 გოგონა მყავს. დედოფლისწყაროს ფარგლებსაც გავცდით და ჩვენთან ვარჯიშობენ ძველი ანაგიდან, ტიბაანიდან და ილიაწმინდიდან. მოგებული აქვთ მოყვარულთა ლიგა, მასტერლიგას შვიდკაცა ტურნირი, შარშან ასევე გახდნენ კახეთის რეგიონალური სასკოლო ოლიმპიადის ჩემპიონები. შთამბეჭდავი შედეგებით მიაღწიეს ამ შედეგს. ყვარელს 14-0 მოუგეს; თელავს 9-1; ფინალში გურჯაანს შეხვდნენ და 5-2 დაამარცხეს; მოპოვებული აქვთ მეორე ლიგის საგზური, მომავალ წელს აპრილიდან დაიწყება ეს თამაშები და 16 გუნდი გამოვა. ესაა საქართველოს პირველობა და დიდ იმედს ვამყარებთ, რომ კარგად მოემზადებიან და უფრო წინ წაიწევენ. ზოგადად, გოგონათა გუნდში პერსპექტივას ვხედავთ.“

ანა ზირაქიშვილი (ფეხბურთელი): „ლაგოდეხთან თამაში და მათი დამარცხება არ გაგვჭირვებია, მაგრამ ქობულეთთან შედარებით გაგვიჭირდა. ორივე გუნდი კარგი მოთამაშე აღმოჩნდა.

რაც შეეხება ჩემს სპორტულ ინტერესს, ძალიან მიყვარს ფეხბურთი. თამაში დაახლოებით 6 წლის ასაკიდან დავიწყე. ვთამაშობდი ბავშვებთან ერთად სტადიონზე. ძალიან მომწონდა მესი, სულ მის თამაშებს ვუყურებდი.

შემდეგ უფრო დავინტერესდი და 2 წლის წინ შევედი ფეხბურთის გუნდში.

ზოგადად, გოგონები ნაკლებად აქტიურები არიან ფეხბურთში და ვისურვებდი, ეს შეიცვალოს. ხშირად ბიჭებთან ერთად ვვარჯიშობ ხოლმე, ჩვენი მწვრთნელი ყველანაირად ცდილობს, რომ კარგად გვასწავლოს თამაში და უფრო დიდ წარმატებებს მივაღწიოთ.

ჩემი ოცნებაა, რომ ვითამაშო საქართველოს ეროვნულ ნაკრებში და ბარსელონაში. ბარსელონას სტილი და მათი ნაჩვენები თამაში ძალიან მომწონს. გოგონების გუნდიდან ალექს პუტელას და ბიჭებიდან ჟუა ფელიქს, პედრის და გავის გამოვარჩევდი, დიდი ვარსკვლავებიდან მესის და რონალდინიოს. სურვილი მაქვს, რომ მალე მოვხვდე საქართველოს ნაკრებში. ამისთვის მჭირდება ვარჯიში. არ დავიზარებ და მონდომებით ვიშრომებ, რომ ამ შედეგს მალე მივაღწიო“.

,,ვარსკვლავები“ პირველად მასტერ ლიგაში

დედოფლისწყაროს ფეხბურთელ ვაჟთა გუნდი „ვარსკვლავები“ მაღალი დონის ტურნირზე პირველად გავიდა და შედეგიც აჩვენა. ამჯერად ფეხბურთელები „ბეთლაივ მასტერ ლიგის“ მერვედფინალში მოხვდნენ, სადაც თბილისის გუნდს „არბიემს“ შეხვდებიან. თამაშები 7 ოქტომბრიდან დაიწყო და ყოველ შაბათ-კვირას გაიმართება.

შალვა შაიშმელაშვილი (გუნდის კაპიტანი): „ჩემი სურვილია ჩვენი კუთხის კარგად წარდგენა შევძლოთ და დედოფლისწყაროს ფეხბურთელების თავდადება ვაჩვენოთ. ამით გვინდა სტიმული მივცეთ მომავალ თაობებს და ხელი შევუწყოთ ამ სპორტის პოპულარიზაციას, რომ გამოჩნდნენ მომავალი თაობები, რომლებიც ჩვენ შეგვცვლიან. სამწუხაროდ, დედოფლისწყაროში სერიოზული ფეხბურთი რამდენიმე წელია დავიწყებულია. მრავალი წელია არცერთ ლიგაზე არ გასულა ჩვენი რაიონი. ამჯერად მერიის მხრიდან გვაქვს ხელშეწყობაც. კაჭრეთის სასტუმრო ამბასადორში დაიწყო ე.წ. ბეთლაივ მასტერ ლიგა, 7×7-ზე. ჯგუფში გვყვავდა ისეთი ძლიერი რეგიონები, როგორიცაა რუსთავი, ლაგოდეხი, ქალაქ თბილისის გუნდები და ა.შ. „არბიემს“ ვეთამაშებით ამბასადორში, შემდეგ კი დუშეთის რაიონში, 2 მატჩის ჯამში თუ მოვუგეთ, მერე ვხვდებით თელავი-საძმოს გამარჯვებულს 1/4 ფინალში, კვლავ 2 თამაში იქნება და გამარჯვებული გავა 1/2 ფინალში, მერე კი ფინალი გველის.“

ერეკლე ჯანიაშვილი: „როგორც მოგეხსენებათ, ბეთლაივ მასტერ ლიგა არის სამოყვარულო თამაში. აქედან გამომდინარე, ყველა გუნდს აქვს შანსი. ჯგუფური ეტაპის ბოლო თამაში კარგად ჩავატარეთ. „ალფას“ მოვუგეთ 4-1 და ვფიქრობთ, რომ კარგ ფორმაში ვიმყოფებით, ახლა მთავარია ეს ტემპი შევინარჩუნოთ. რაც შეეხება ჩვენს პირველ მეტოქეს (არბიემი) იდენტური ქულებით დაამთავრა ჯგუფური ეტაპი, გავიდა მე-5 ადგილზე, ჩვენ მეოთხეზე, თუმცა სანამ პირველი შეხვედრა არ შედგება, რთულია პროგნოზის გაკეთება. მითუმეტეს, მეტოქე გუნდის თამაში არ გვინახავს, არ ვიცით მათი ტაქტიკა და სტილი, ამიტომ პირველი თამაშის შემდეგ ბევრი რამ გვეცოდინება“.

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

მეცხვაირეობა ქიზიყში

არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა და ისტორიული მონაცემების მიხედვით დადგენილია, რომ საქართველო უძველესი დროიდან მეურნეობის მრავალდარგოვნებით გამოირჩეოდა. ისიც ცნობილია, რომ მესაქონლეობა მთელ რიგ ადგილებში მეურნეობის წამყვანი დარგიც კი იყო.

ძველი ქიზიყის მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს მიწათმოქმედება, ხოლო დამხმარე დარგს მესაქონლეობა და მევენახეობა წარმოადგენდა. როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ „ცხვარმა ერთბაშად იცის ზარალიცა და მოგებაცო“. ამის გამო, როგორც არ უნდა ბევრი ცხვარი ჰყოლოდათ, ხვნა-თესვა მაინც მეურნეობის წამყვან დარგად და შემოსავლის ძირითად წყაროდ რჩებოდა.

ქიზიყის ტერიტორიის ადგილმდებარეობა და კლიმატი ყოველგვარ პირობას ქმნიდა აქ მეცხვარეობის ფართო განვითარებისათვის. გასული საუკუნის ცნობებიდან ირკვევა, რომ ქიზიყის მთელი მიწების 50% საძოვრებისათვის იყო გამოყენებული. მოსახლეობას საქონლის სადგომ-საძოვრებიც ორ ნაწილად ჰქონდა გაყოფილი, საზამთრო – ივრისა და შირაქის ველები და საზაფხულო – ალაზნის გაღმა-გამოღმა ველები მთის კალთებითურთ, მესხეთ-ჯავახეთი და კოლა-არტაანი.

ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა საზამთრო საძოვრების მიმართ, სადაც ცხვარი უნდა მდგარიყო 4-5 თვის (ნოემბრიდან მარტამდე) განმავლობაში.

საზაფხულო საძოვრებიდან დაბრუნებულ ცხვარს კარგი ბალახი უნდა დახვედროდა, რათა ზამთარს „გონივრულად შეხვედროდა და გაჭირვების შემთხვევაში კი „სალუბე“ (გამხდარი) და საბატკნე (ახალშობილი ბატკნის დედის საძოვარი) შეენახათ. იმისათვის, რომ აღნიშნული საზამთრო საძოვრები კარგად შეენეხათ, თითოეული სოფლიდან 2-3 კაცი, ე.წ. მეველეები იგზავნებოდა საყარაულოდ. მეველეობა მორიგეობით იყო. ისინი „აყორულებდნენ“ ადგილს.(დაყორულება-შემოღობვა). დაყორულობისას სათანადო ნიშნები კეთდებოდა, რაც ითვალისწინებს მინის ამაღლებას, ე.ი. „ყორღანების“ გაკეთებას, რომლებზეც ფოთლიან ჯოხებს ან ჭიგოებს ჩაურჭობდნენ და საქონლის ძვალს ან ბალახს დაჰკიდებდნენ. ამგვარი ნიშნები იმაზე მიუთითებდა, რომ ამ ადგილებში საქონლის შერეკვა არ შეიძლებოდა, რაც უფრო დიდი იქნებოდა ყორული, მით უფრო კარგი იქნებოდა, მაგრამ საშუალოდ ათი-თხუთმეტი ჰექტარი უნდა ყოფილიყო.

საზამთრო საძოვრებზე ბინები იყო აშენებული. აქვე „ადოლებდნენ“ – ანუ იღებდნენ ნამატს. დოლის შემდეგ იწყება მზადება საზაფხულო საძოვრებზე გასამგზავრებლად. რამდენიმე მეცხვარე ან ცხვრის პატრონი ერთმანეთში მოილაპარაკებდა, რათა ერთად გადაერეკათ ცხვარი. ამ ნიადაგზე შეთანხმებულ მეცხვარეებს „მონარეები“ ეწოდებოდათ. შეთანხმება ხდებოდა ისე, რომ ბინაში 1500-დან 3000-მდე ცხვარი შექუჩებულიყო. განსაზღვრული უნდა ყოფილიყო თვით მწყემსთა რაოდენობაც, რადგან 15 კაცზე ქვევით და 18 კაცზე ზევით არ შეიძლებოდა. ამ რაოდენობის კაცი მწყემსავდა 3000-მდე სულ ცხვარს, სადაც კიდევ ემატებოდა 40-60 ცხენი, 20-30 ძაღლი, 20 სახედარი და 80-100 თხა.

„მონარეები“ შემდეგ ამოირჩევდნენ ბინის თავს – უფროს მეცხვარეს ანუ სარქალს. იგი ყოჩაღი და წერა-კითხვის მცოდნე უნდა ყოფილიყო. ამის შემდეგ ყოველგვარ საქმეს ბინის თავი აწესრიგებდა, რომელთაგან ყველაზე საშური საზაფხულო საძოვრის მოგვარება იყო.

„წინ-წინ ოსმალეთიდან (თურქეთიდან) აგენტები ჩამოდიოდის, შეიპირებდეს აქაურ ხალხს და ეტყოდის მავან და მავან ადგილას ამდენი საბინაო გვაქ და მოგაქირავებთო“ – იხსენებდა მწყემსი **ილო ნატროშვილი** ზემო მაჩხაანიდან.

ზოგიერთი, რომელსაც შედარებით ბევრი ცხვარი ჰყავდა, თვითონვე ჩადიოდა ადგილზე და ქირაობდა.

ერთი სოფლის ხალხი ქირაობდა ადგილებს და ის ადგილი ამ სოფლის „ნადელად“ ითვლებოდა. მაგალითად, სოფელ არბოშიკს ყარა-ყუზას მთა 80 წლის განმალობაში უწყვეტად ეჭირა და წელიწადში 80-100 თუმანს იხდიდა. როდესაც საბოლოოდ დააზუსტებდნენ საქონლის რაოდენობას და იცოდნენ, სად უნდა გადაერეკათ ცხვარი, ამის შემდეგ დასთქვამდნენ ერთ ადგილს, სადაც უნდა შეექუჩებინათ ცხვარი.

მეცხავრეები 2-3 დღე სახლში ბრუნდებოდნენ, იმარაგებდნენ ტანსაცმელს, იარაღს, ფქვილს, ყველს, ნიორს, ხახვს, სასმელს, პურს (თუ მეცხვარე დაქირავებული იყო, მაშინ ცხვრის პატრონი ვალდებული იყო მისთვის ყველა საჭირო საჭმელ-საცმელი გაეტანებინა).

ბინისთავი რამდენიმე მწყემსთან ერთად სათითაოდ ჩამოუვლიდა თავის მეცხვარეებს და ამოწმებდა ყველა საჭირო საგზალს, უწონიდა ***„შოთიპურებს“, რომელიც რამდენიმე დღით ადრე იყო გამომცხვარი და კარგად გამხმარ-გამომშრალი. შოთიპურები თითოეულ მეცხვარეს 100 უნდა ჰქონოდა, არც მეტი არც ნაკლები, ამავე დროს ისე გამომშრალი, რომ ყველა მწყემსის 100 შოთი ერთი წონა უნდა გამოსულიყო,*** წინაღმდეგ შემთხვევაში ბინისთავი არ მიიღებდა, რადგან გზაში ობდებოდა. პურის მიწონის შემდეგ ყველა ოჯახში ილოცებოდნენ, ხოლო ვის ოჯახშიც ყველაზე ბოლოს მიიწონიდნენ, იქ დიდხანს ქეიფობდნენ.

ქიზიყელი მეცხვარეები ცხვრის გადარეკვისა და ჩამორეკვისას არც რელიგიურ წეს-ჩვეულებებს ივიწყებდნენ. ბინისთავი (სარქალი) მწყემსებთან ერთად უფალს შესთხოვდა „ფარის მშვიდობიანად დაბრუნებას“. ამ მიზნით ღმერთს სწირავდნენ ცხვარს მსხვერპლად, ხოლო თავიანთთვის კი კლავდნენ ცალკე ცხვარს და გამვლელ-გამომვლელს ეპატიჟებოდნენ. ასე რომ მთელი სოფელი ქეიფობდა. **ხორცის წაღება სახლში არ შეიძლებოდა.**

ქიზიყელ მეცხვარეს საგზაოდ უქუჩდებოდა: 10-11 ფუთი ფქვილი (სადაც შედის 100 გამომცხვარი შოთი პური, ნაბადი, ფარაჯა, ტყავი, ქვაბი „კიბალით“ (კიბალი სამი ჯოხი ქვაბის ჩამოსაბმელი) „საჯი“ — (ლავაშის გამოსაცხობად) ხის კავი, თოფი, ხანჯალი, ჯიბის დანა, და სხვა. თითო ცხენს 4-6 ფუთს ჰკიდებდნენ, სახედარს – 2-3 ფუთი. სახედრები ცხვარში გარეული მიდიოდა, ცხენები უკან მიჰყვებოდნენ ფარას...

ყველა მეცხვარის ცხვარი ერთადაა არეული, რომელთაც თავთავიანთი „სერებით“ არჩევდნენ (სერები-ანუ ნიშნები ყველა ცხვრის პატრონს განსაკუთრებული ჰქონდა, რომელსაც ყურებზე გაჭრით ან ტანზე რაიმე საღებავით უნიშნავდნენ).

განსაკუთრებით აღსანიშნავია „ბოტის“ ყოლა ფარაში (ბოტი-წელზე მეტი ხნის მამალი თხა ერკემალი, რომელსაც პატარაობიდანვე ე.ი. მოგებიდან იჩვევენ-წვრთნიან). ბოტის გარეშე ფარის მოძრაობა თითქმის შეუძლებელიც კია, რადგან ცხვარი ნაკლებ გამბედავია. ამის გამო ცხვარი წინ მიმავალ, გაწვრთნილ თხას მიჰყვება ყველგან. ერთ დღეში ძოვებით ცხვარს შეუძლია 25-30 კმ-მდე უამინდობისას კი 15-20 კმ.

ცნობილია, რომ საქართველოში მთვარისადმი თაყვანისცემას ჰქონდა ადგილი, რომლის მიხედვით წინასწარმეტყველებდნენ მეურნეობის ავ-კარგიანობას. ქიზიყელები სავსე მთვარეს ბედნიერ ნიშნად სთვლიდნენ მესაქონლეობაში, მაგრამ გადარეკვისას მას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, რადგანაც ახალ მთვარეს უამინდობა მოჰქონდა. გათენების ჟამს მეცხვარეები იგებდნენ ვარსკვლავებით, ასეთი იყო „ჭყიტა“ ვარსკვლავი, რომელიც გათენებისას გამოდის და ვინც წასასვლელი იყო, წავიდოდა.

საღამოს, როცა დათქმულ ადგილას მიაღწევდნენ, „ბინას ჩამოხდიდნენ, საჭმლის სამზადისს შეუდგებოდნენ და ცხვარში სამორიგეოდ - „თეოზე“ (რიგრიგობით) გავიდოდნენ. თეოზე გასული მეცხვარე დაახლოებით ორ საათში ერთხელ იცვლება. მათ თან ჰყავთ ძაღლები, რომლებიც გარშემო უწვანან ფარას, ხოლო მეცხვარეები სულ ირგვლივ უვლიან და ხმაურობენ, რათა იფხიზლონ და ძაღლებიც აფხიზლონ.

მეცხვარეები მგზავრობის პერიოდში იყენებდნენ ხალხურ ასტრონომიას. ამ მიმართებით საყურადღებოა ბეჭის ძვალზე ამოკითხვის ცოდნა, რის მეშვეობითაც ხალხის რწმენით, შესაძლებელია ინინასწარმეტყველონ საქონლის ზარალი ან ნამატი, ოჯახის ავ-კარგი, მომავალი უბედურება, ან მშვიდობიანობა და სხვა. „ჩასახედი ბეჭი“ უნდა ყოფილიყო ცხვრის ან ხარისა. ბეჭი ისე უნდა მოხარშულიყო, რომ ფრჩხილით, ან კბილით „გამოწიწკნილიყო“, რადგან მასზე სამჭრელო მიკარება არ შეიძლებოდა. საქონლის ზარალის მოლოდინისას ბეჭის ბოლო ნაწილში შავი ღრუბელივით ლაქა ამოვიდოდა, თუ ავადმყოფობა – ლოგინივით ფორმის მქრქალი ლაქა.

საინტერესოა ზემო მაჩხაანელი მეცხვარის, 70 წლის მეცხვარის **ლადო ნატროშვილის** ნაამბობი.

„ერთხელ წინდაწინ ცხვარი დაუყენებიათ შესასვენებლად და თვითონაც პურის საჭმელად დამსხდარან. ბეჭი რომ გამოუწინკნიათ, მემრე ჩაუხედიათ და იტყვის, ვინც ჩაიხედა-კაცებო ავდგეთ, ავიყარნეთ, მტერი გვეცემისო. მართლაც, აყრილან და დასგომიან გზას, ხოლო ბეჭი იქვე ცეცხლში ჩაუგდიათ.

როცა სამშვიდობო ხიდს გასულან, ერთ მეცხვარეს უთქომს, აბა ვნახამ რა ამბავია სადგომზეო. ასულა დიდ ხეზე, დაუნახია მართლა მისული მტერი – ყაჩაღები. ყაჩაღებს ცეცხლიდან ამოუღიათ ბეჭი და ახლა იმათ ჩაუხედავთ, რომელთაც უთქვამთ, ახლა აყრილა ცხვარი და უკვე სამშვიდობო ხიდს – რკინის ხიდს გასულან, გაგვასწრესო. ამის მერე ყველა დარწმუნებულა ბეჭში ჩახედვაში.“

მეცხვარეები საძოვრებზე სამი-ოთხი თვის განმავლობაში რჩებოდნენ და სექტემბრის ბოლოსთვის შინ ბრუნდებოდნენ, სადაც გამოსაზამთრებლად უნდა მომზადებულიყვნენ. ჩამორეკავდნენ თუ არა ცხვარს, ისევე როგორც გადარეკვისას, საღმრთოს იხდიდნენ, საკლავს სწირავდნენ „ცხვრისა და ხალხის ჩამოსვლის“.

ქიზიყელი მეცხვარეები ზამთრობით ცხვრის ხელოვნურ კვებას იშვიათად მიმართავდნენ, რადგან აქ თბილი ზამთარი იცის და საბალახოდ ცხვარი ყოველთვის გაჰყავთ. ამის გამო 500-600 ცხვარზე 2-3 ურემ თივას ამზადებდნენ და იმასაც გამონაკლის შემთხვევაში მიუყრიდნენ.

ასაკოვანი მეცხვარეები იხსენებდნენ, ზამთრობით ბევრი თივის ჭმევა ცხვარს აავადებს, „გველაძუას“ ე.ი. ჭიას უჩენს ფილტვში, პირიდან წყალს ადენს და ხოცავს-ო“ ზამთრობით, როცა თოვლია, ცხვრის გარეთ გამორეკვა სასარგებლოა, ბალახიც რომ ვერ იპოვოს, წელ-ფეხს მაინც გაშლის, ჰაერზე გამოდის და „უხარისხო“ ცივ ამინდში ცხვარს ცივი წყალი რომ არ დაელია, სადგომთან ახლოს „ბულაყებს“ (ჭებს) მოთხრიდნენ ან „გუბეებს“ აწყობდნენ. განსაკუთრებულად უვლიდნენ „გალუბებულ“ ნაავადმყოფარ ცხვარს, რომელსაც დღისით „სალუბეში“, ხოლო საღამოს „კორაკანაში“ (ვიწროდ მოწნული ბაკი) ამყოფებდნენ და ქერით, ავით (შვრია) სიმინდის ნაღერღით, ქატოთი, ან თივით კვებავდნენ.

მეცხვარეების შესახებ ყველგან სიამაყით ყვებოდნენ თურმე, „მუხლმაგარი ჯეელი ბიჭები ყოფილან ცხვარში“ მათი შრომაც დიდად დაფასებული იყო. ქიზიყში **კაცი თუ მეცხვარე არ იყო, დანიშვნაც კი უჭირდა.** ***ხშირად იტყოდნენ, თურმე: „ეგ რომ კარგი კაცი იყოს, სახლში რას უზის და ცხვარში ვერ წასულაო“***, ან ქალი მივცე, თორემ მაგის ცხვარი მინდორს ამძიმებსო“.

მეცხვარის ოჯახი ხელშეუხებელიც ყოფილა. ვინც მისი ოჯახის წევრზე ცუდს გაიფიქრებდა, მას სოფელი პასუხს მოსთხოვდა. სანამ ცხვარს იალაღისკენ გარეკავდა, მეცხვარე რომელიმე მედუქნეს გაურიგდებოდა, რომ მისი ოჯახისათვის სარჩო არ მოეკლო. მედუქნეც დიდი მოკრძალებით ზრუნავდა ჩაბარებულ ოჯახზე. სახლში დაბრუნებული მეცხვარე მედუქნეს ესტუმრებოდა, ერთი მეორეს დიდი სიყვარულით მოიკითხავდნენ. ამის შემდეგ მეცხვარე თავისი ოჯახის დანახარჯს მოჰკითხავდა და თან ეტყოდა „ფულად გადავიხადო, თუ ნატურითო“. მედუქნეც ზრდილობიანად პასუხობდა „რა იყო, რა გეჩქარება, ამ ქვეყნიდან გამქცევი ხომ არ ვართ“. მერე დახლზე ბაღდადს გადააფარებდა, ერთ ხელადა ღვინოს მოიტანდა, სუფრას გაშლიდა და მეცხვარის მშვიდობიან დაბრუნებას დალოცავდა. ამის შემდეგ დავთარს გამოიტანდა და დანახარჯს უანგარიშებდა.

თუმცა, ახლა რეალობა სხვაა. ამჟამად „ქართველი ჯეილი ბიჭები“ აღარ მიდიან ცხვარში. ადრე თუ მეცხვარეობა საამაყო და საპატიო იყო, ახლა თითქოს ქართველებისათვის ეს შრომა სასირცხვილოა.

დალი გაღაშვილი,
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის
სპეციალისტი

კავკასიის დიდი კედელი

ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე წარსულში მდებარეობდა ჩინეთის კედლის მსგავსი ორი საფორტიფიკაციო დანიშნულების ნაგებობა: საინგილოს ტერიტორიაზე კავკასიის დიდი კედელი, ანუ საინგილოს გრძელი გალავანი, (სიგრძე 150 კმ) და დასავლეთ საქართველოში აფხაზეთის დიდი გალავნის ანუ კელასურის დიდი კედელი. კომპლექსში შემავალი ნაგებობები იყო: გალავანი, სწორკუთხა ნაგებობა, სამლოცველო და ციხე-გალავანი.

ადგილმდებარეობა

კავკასიის დიდი კედელი მდებარეობს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ისტორიულ მხარე ჰერეთში, ბელაქნისა და ზაქათალას რაიონებში - სოფ. კატეხისა და სოფ. მაწეხის ახლოს, ლაგოდეხ-ზაქათალას მაგისტრალური გზის მარცხენა მხარეს.

ისტორიული მიმოხილვა

კავკასიის დიდი გალავნის დათარიღების შესახებ მკვლევართა საერთო აზრი ჯერ კიდევ არაა დადგენილი. უცხოელ მწერალთა და მოგზაურთა უძველეს წერილობით წყაროებში ამ ძეგლის დათარიღების შესახებ რაიმე პირდაპირი მითითება არ მოიპოვება, გარდა X საუკუნის არაბ მოღვაწეს იბნ-ალ-ფაკიხსა, რომელსაც აღნიშნული აქვს, რომ „...სასანიდმა ხოსრო I ანუშარვანმა 531-578 წლებში აღაშენა ალბანების მიწაზე ამბვაბი შქი და ამბვაბი“. ... როგორც ცნობილია, არაბი გეოგრაფები „ამბვაბს“ უწოდებდნენ მთის ხეობებში გასასვლელ კარებს, მაგრამ აქ ზუსტად არ არის მითითებული იგი ნამდვილად ეხება თუ არა „კავკასიის დიდი გალავნის“ „აღშენებას“.

ანალოგიური ცნობა მოცემული აქვს X საუკუნის სომეხ ისტორიკოსს კალანკატუელს, სადაც წერია, რომ „სპარსელთაგან დადგენილ მთავარმმართებელმა ალბანიისამ (ანუშირვანმა) ნახა, რა დაემართა გასაოცარ კედელზე მდგომარე ჯარებს, კედლის ასაშენებლად კასპიის ზღვისა და კავკასიის მთის შუა, სპარსეთის ხელმწიფეებმა შეაწუხეს ალბანია და მოღალეს ხალხი ხუროთმოძღვრების ძებნითა და მასალის ზიდვითა“. 1936 წელს ამ კედლის მიდამოებში გათხრები აწარმოა ა. პოხომოვმა, მისი აზრითაც, იგი აგებული უნდა იყოს სასანიდების მიერ (V - VII ს.). ი. ადამიას აზრით, კავკასიის დიდი კედელი აშენებული უნდა იყოს ქვეყნის თავდაცვის მიზნით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, სახელდობრ „26 ენაზე მოლაპარაკე ტომების“ მიერ, ჯერ კიდევ ადრე ფეოდალურ ხანაში დაახლოებით V-VI საუკუნეების მიჯნაზე.

დამოწმებული ამონაწერიდან აშკარად ჩანს, რომ ალბანეთში (ჰერეთში) არსებობდა რაღაც „გასაოცარი კედელი“, რომლის ასაგებად საჭირო „მასალის ზიდვითა“ და მშენებელ სპეციალისტთა (ხუროთმოძღვართა) ძებნით ხალხი ძლიერ მოქანცულა. აქვე მითითებულია აღნიშნული კედლის გეოგრაფიული მდებარეობა. კასპიის ზღვისა და კასპიის მთის შუა ტერიტორია , რომელიც დაახლოებით მოიცავს თანამედროვე საინგილოს ტერიტორიაზე „კავკასიის გრძელი კედლის“ დღემდე დარჩენილი ნაშთების ადგილმდებარეობას.

ამ ძეგლის შესახებ (პირდაპირი მნიშვნელობით) არაფერია ნათქვამი „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე, არც ვახუშტი ბაგრატიონი გვაწვდის მასზე რაიმე ცნობას.

თვით სახელწოდება „დიდი ანუ გრძელი კედელი“ იმაზე მიუთითებს, რომ იგი დიდ მანძილზე უნდა ყოფილიყო გადაჭიმული-ნუხიდან მოყოლებული, საბუემდე, რაც დაახლოებით 150 კმ-ს შეადგენს. მისი ანალოგიური კედლის ე. წ. აფხაზეთის დიდი გალავნის ანუ კელასურის კედლის სიგრძე, დიუბუა დე მონპერეს გადმოცემით, 160 კილომეტრს უდრიდა.

საყურადღებოა ხანდაზმული ინგილოების გადმოცემა, - დედოფალ ფერის, აქ ჰქონია სასახლე. იგი განაგებდაო ქვეყნის საქმეებს. მას ჩვენი ადგილ - მამულები შემოუზღუდავს ქვის გალავნით. სანამ ფერი ცოცხალი ყოფილა, მტრებიც დაჩოქილი ჰყოლია, მაგრამ ფერის შემდეგ მტრებს ჩვენები გალავნიდან გადაურეკიათ. გალავანი დაუნგრევიათ და ჩვენი მამა-პაპის ადგილებს თვითონ დაჰპატრონებიან. ეს გალავანი (ზღუდე) გაჭიმული ყოფილა კასპიამდე (კასპიის ზღვამდე) და დარუბანდის ციხე-სიმაგრის გალავანს უერთდებოდა. როგორც ირკვევა, ახალი პერიოდის პუბლიკაციების ავტორების უმრავლესობა ძირითად ცნობებს „გრძელი კედლის“ მშენებლობის შესახებ ხალხური ზეპირი წყაროებიდან იმოწმებს.

ამ თქმულებების საფუძველზე ზოგიერთი ავტორი თამარ მეფის მოღვაწეობის ხანის ფაქტებს იშველიებს და გალავნის მშენებლობის თარიღსაც 1184 და 1212 წლებს უკავშირებს.

ყველაზე კარგად ამ კედლის ნაშთები ბელაქნისა და ზაქათალას რაიონებში - სოფ. კატეხისა და სოფ. მაწეხის ახლოსაა შემორჩენილი.ძეგლის ნაშთების კვალი დიდ მანძილზე შეინიშნებოდა დაწყებული ლაგოდეხიდან ნუხამდე, მაგრამ თანდათანობითმა ნგრევამ და მოსახლეობაში სახლების მშენებლობისათვის და გზების გასაყვანად მისმა გამოყენებამ ამ კედლის კვალი ბევრგან წაშალა. სამწუხაროდ, ეს კედელი, როგორც უნიკალური ძეგლი, არასოდეს ყოფილა სათანადოდ დაცული; განსაკუთრებით მისი დიდ სიგრძეზე ნგრევა დაიწყო 1910 წელს, „გზის იჯარადარმა, რომელიც წამხდარ გზას ანახლებდა, სანახევროდ დაარღვია იგი და მასალად გამოიყენა.“

მოხვეული გზის გასწორებისას 1954 წელს. სოფ. კატეხის ბოლოს მდ. მაწის ანუ მაჭის წყლიდან (მაზმიჩაიდან) იქ, სადაც ოცდამეშვიდე კილომეტრის მაჩვენებელი ნიშანსვეტი დგას, გზის რეკონსტრუქციის დროს უყურადღებობამ იმსხვერპლა აღნიშნული „გრძელი კედლის“ სისტემაში ჩართული თავდაცვითი დანიშნულების უზარმაზარი ცილინდრული ნაგებობის კედლების ერთ მესამედზე მეტი, რომელიც ა. ასპახოვას მიდამოზე ყოფილა დაცული. ყველაზე გამანადგურებელი საფრთხე, მაინც მის საშენ მასალად გამოყენება იყო, საუკუნეების მანძილზე იგი გადაქცეული იყო საშენი რიყის „კარიერად“. გაურკვეველია, თუ როდის დაკარგა “კავკასიის დიდმა კედელმა“ თავისი თავდაცვითი მნიშვნელობა, რომელ საუკუნეში დაიწყო ამ გრანდიოზული ნაგებობის ხელყოფა, მისი რღვევა.

ჯერ კიდევ 120 წლის წინათ ამ საკითხებისათვის ყურადღება მიუქცევია ბესტუჟევ-მარლინსკის, ძველი ჰერეთის ტერიტორიაზე მოგზაურობის დროს. იგი წერდა: „საინტერესოა, საით მიემართებოდა ან სადამდის აღწევდა ეს კედელი? როდის დაიწყო მისი დატაცება სოფლის ასაშენებლად? აი, კითხვები, რომელთაც, ალბათ, ვერასოდეს ვერ მოვფენთ ნათელს”. არსებობს გადმოცემა, თითქოს ამ კედლისათვის საჭირო საშენი ქვა კასპიის ზღვიდან მოჰქონდათ, მაგრამ ეს აზრი უსაფუძვლოა, რადგანაც არ ჩანს ის ზღვის ნიჟარები, რომლებიც დამახასიათებელია კასპიის ზღვის ნაპირის კენჭებისათვის. „კავკასიის გრძელი კედლის“ ასაშენებლად საჭირო რიყის ქვის ფანტასტიკური რაოდენობა (დაახლოებით 300მილიონი კუბ. მეტრი), როგორც ირკვევა, კავკასიონის სამხრეთი ფერდობებიდან ადიდებულ მდინარეებს ჩამოჰქონდათ. ადგილობრივ მცხოვრებთა - მოხუცი ინგილოებისა და ლეკების გადმოცემით, ამ კედლის ნაწილები პირველ რევოლუციამდე (1905წ.) სოფ. კახის ახლოსაც ყოფილა დარჩენილი; მისი ნანგრევები ახსოვთ სოფ. კოხ-მოხთან, ნუხის აქეთ და ნუხის იქითაც, სოფ. მუხახთან



და სხვ. ამ კედელში მრავალი სათვალთვალო კოშკი ყოფილა დატანებული. ამ საკითხთან დაკავშირებით ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში დაცულია ერთი მეტად საინტერესო თქმულება, რომ ამ კედელს კოშკები ჰქონია დატანებული, რომელთა მეშვეობით ხდებოდა სიგნალების გადაცემა. ხალხური გადმოცემით დარიალის კარიდან კასპიის ზღვამდე ამბის გადაცემას სულ 4 საათიც კი არ სჭირდებდა.

„კავკასიის კედლის“ კომპლექსის - მთელი ანსამბლის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ბესტუჟევ-მარლინსკის 135 წლის წინანდელი ფრიად მნიშვნელოვანი აღწერა. წარსულში „კავკასიის კედელი“ ზოგიერთ ადგილას როგორც ჩანს დაუზიანებლად ყოფილა შემონახული. მას დაჰყვებოდა პატარ—პატარა კოშკები, რომლებიც ერთმანეთისაგან არათანაბარი მანძილით იყვნენ დაშორებული და ზომითაც არ იყვნენ ერთნაირი. საფიქრებელია, რომ ისინი მთავარ საგუშაგოებად იყვნენ განკუთვნილნი. მათში ინახავდნენ იარაღსა და სანოვაგეს. იქვე ცხოვრობდნენ ჯარის უფროსები და ომიანობის დროს იქვე იწვევდნენ ლაშქარს. კოშკების სიმაღლე იცვლება ნიადაგის უსწორმასწორობასთან ერთად და ციცაბო დაღმართებში იგი კიბისებურად დაბლდება. კოშკები ერთი არშინითაა კედელზე მაღალი. კავკასიის დიდი კედლის პირველი სასინჯი არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა 1936 წელს (პახომოვის ხელმძღვანელობით). ეს გათხრები არ ყოფილა დიდი მასშტაბისა, ამიტომაც ექსპედიციას არ უცდია აღნიშნული კედლის ტრასის მთელი სისრულით აღდგენა. იგი არ გასცილებია ბელაქნისა და ზაქათალას რაიონებს

ლეგენდები,თქმულებები და ზეპირსიტყვიერი გადმოცემები.

არსებობს ხალხური გადმოცემა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული კედლის მშენებლობა ალექსანდრე მაკედონელს მიეწერება, მაგრამ ალექსანდრე მაკედონელის მოსვლა საქართველოში საერთოდ მეცნიერთა მიერ უარყოფილია, ამიტომ თქმულების ამ ვერსიას არ გააჩნია არავითარი საფუძველი.

არქიტექტორული აღწერა.

ა) კავკასიის დიდი კედლის ქვის კედლის სისქე 150 სმ-ს აღემატება. მაქსიმალური სიმაღლე ზოგიერთ ადგილას 310 სმ-ია, ხოლო კედლის დარჩენილი ფრაგმენტების უმეტესობა 180-250 სმ სიმაღლემდეა შერჩენილი. საშენ მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის (15-20-30-50 სმ.) რიყის ქვა. კედლის წყობაში შემამჭიდროებელ მასალად გამოყენებულია მსხვილმარცვლოვანი ფრაქციის ქვიშისა და კირის სქელფენოვანი დუღაბი, რაც მისი სამშენებლო ტექნიკის არქაულობაზე მეტყველებს. დუღაბი დროთა ვითარებაში ისეა განმტკიცებული, რომ კედელი „ქვითკირად“ ქცეულ ერთიან მკვიდრ მასას წარმოადგენს. კედლის ნგრევისას თვით დუღაბი ძნელად იფშვნება, რის გამოც მასში, მისი სისქიდან ამონაცვენი „სიპი“ ქვების მოცულობითი ფორმების ღრმა ანაბეჭდები (ფოსოები) რჩება.

არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, რომ „კავკასიის კედლის“ მიმართულება ბელაქან—ზაქათალას ტრასაზე სამი ინტერვალისგან შედგება და მათ მკაცრი სწორხაზოვანი მიმართულება აქვთ; მხოლოდ ერთ ადგილზე სოფ. კარტეხის შესასვლელიდან ასი მეტრის მანძილზე იცვლის მიმართულებას (რკალურად უხვევს), ბოლოს კედელი ისევ სწორდება და ზუსტად სწორხაზოვან მიმართულებას მიჰყვება. თუ რითაა გამოწვეული ამ ადგილზე კედლის მიმართულების გამრუდება, ჯერჯერობით არაა ამოცნობილი. ადგილის ტოპოგრაფიული პირობები (დავაკებული, სწორი მდებარეობის გამო) კედლის მიმართულების გამრუდების საფუძველს არ იძლევა. კედლის მიმართულების გამრუდების ანალოგიური შემთხვევა „კავკასიის კედლის“ მთელ სიგრძეზე მხოლოდ ვაკე ადგილების გარკვეულ დისტანციებში მრავალ ადგილას უნდა იყოს განმეორებული.

ბ) კედლის სისტემაში დატანებულია მთელი რიგი ნაგებობი. ერთ-ერთი გეგმაზე სწორკუთხოვანი მოხაზულობის ნაგებობა, რომელიც არქეოლოგების აზრით, არ შეიძლება მიეკუთვნოს ძირითადად „კავკასიის კედლის“ მშენებლობის პერიოდს. ეს ნაგებობის კედლები კავკასიის ძირითად კედელთან წყობით არაა გადაბმული. იგი მასზეა მიშენებული, რაც დატოვებული ნაკერებით დასტურდება. ზემოხსენებული ნაგებობა არ არის თავდაცვითი კოშკი. იგი „კავკასიის კედლის“ სისტემაში შემავალი სხვა დანიშნულების ნაგებობას უნდა მივაკუთვნოთ.

გ) კავკასიის დიდი კედლის გასწვრივ გამოვლენილ იქნა სამლოცველოს ნაგებობა, რომელიც მცირე მოცულობის ეკლესიის ტიპს იმეორებს. საყურადღებოა, რომ იდენტური კომპოზიციის მცირე მოცულობის ეკლესიები გავრცელებულია საინგილოს ტერიტორიაზე თითქმის ყველა კუთხეში, თვით დაღესტნამდე.

დ) სოფელ კატეხის დასავლეთით, დღემდე შემორჩენილია მიწის ზემოთ კავკასიის კედლის სისტემაში შემავალი, ცილინდრული ფორმის, ვრცელი ნაგებობის ნაწილი, თავისი სიდიდით ციხე—გალავანს უფრო ჰგავს, ვიდრე სათვალთვალო კოშკურ ნაგებობას. მისი დიამეტრი 33,2 მეტრს უდრის, ხოლო კედლის სისქე 80 სმ-ს აღწევს. აღნიშნული მიწისზედა არქეოლოგიური ძეგლი მთელს პერიმეტრზე თითქმის თანაბრადაა თავმორღვეული, რომლის სიმაღლე სადღეისოდ 2,4 მეტრს აღწევს. ამჟამად, გარდა შიშველი კედლისა, სხვა არაფერია დარჩენილი - არც ქონგურების და არც სათოფურების ნიშნები შეიმჩნევა, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას კარგად ახსოვს, რომ მას ქონგურებიც ჰქონდა და სათოფურებიც. როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ ახლო წარსულში (1936 წ.) ამ ნაგებობის კედლის სიმაღლე დაახლოებით 3,5 მეტრამდე აღწევდა, გასწვრივ რიტმულად დატანებული ჰქონია სათოფურები (ყოველ 2,4 მეტრის დაშორებით) სათოფურების ღიობის ზომები ზუსტად უდრიდა 75×20 სმ გარედან და 38×48 შიგნიდან. ზემოხსენებული ნაგებობის კედლის წყობა შესრულებულია იგივე მასალით და სამშენებლო ტექნიკით, რაც თვით კავკასიის დიდ კედელშია ნახმარი.

ძეგლის დაქვემდებარება და სტატუსი

დღეს დღეობით, კავკასიის დიდი კედელი, ანუ საინგილოს გრძელი გალავანი აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურის ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

ხსოვნა

გიორგი გონაშვილი

2017 წლის 9 ოქტომბერი იყო შვილო, ორშაბათი, რა დღითაც ბაღში მოხვედით. დისტრიბუციაში მუშაობდით, ორი ვაჟკაცი - ორი გიორგი, ეს ის დღე იყო შენმა უბედურმა ბაბომ გულში რომ ჩაგიკრა, დაგკოცნა და გითხარი, რა ლამაზად გამოიყურები- მეთქი. თურმე ეს ჩახუტება ბოლო იყო ჩვენთვის, ჩემო სიცოცხლით გაუმაძღარო შვილიშვილო. მოგიკვდეს ბაბო პატარა შვილზე თვალდარჩენილო. შენი სალომე უკვე მესამე კლასშია, შენს ოჯახში, შენს დედ-მამასთან ცხოვრობს, სკოლაში დადის, ნიჭიერი და ყოჩაღი გოგოა, ისეთი, როგორიც შენ გაგიხარდებოდა. ვაი, რომ ძალიან ძნელია საყვარელი ადამიანის დაკარგვა: 6 წელია შენს გზას გამოვყურებ და ვტირი, მარა არსად ხარ. უფალმა ეს ერთი უბედურება არ მაკმარა, პაპამაც დამტოვა, მეორე მეხიც დამეცა, შვილო. ვცხოვრობ უბედურად მარტო, ყველას თავისი ოჯახი აქვს. შევალ თუ გავალ, შევყურებ თქვენს სურათებს და ვიხუტებ გულში. ძალიან მენატრებით შვილო, მეც თქვენთან ყოფნა მინდა, აქ უაზრო ცხოვრებას მანდ მირჩევნია. ჩემო გიორგი, შენს სურათთან 6 წელია სანთელ-საკმელი არ ჩამქრალა, 5 წელი პაპა გინთებდა ყოველ დილა სანთელს. ერთი წელია კი მე გინთებთ ორივეს. ნეტა ბაბო ისეთი ბედნიერი ყოფილიყო, შენ მოსულიყავი ჩემს საფლავზე და შენ დაგენთო ჩემთვის სანთელი. იძინეთ მშვიდად ჩემო გულის ტკივილებო. მენატრებით ძალიან. სულის სიღრმემდე მენატრებით.

შენი უბედური ბაბო-
ნაირა თემურაზოვი,
ბიძა-თემურ ზამთრეული.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მაყვალა გორაშვილს დის

მარო ბოსტოლანაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი ნათესავები: ნაირა, ციხელო, გულნარა, ანგელინა, მანანა, თამილა გორაშვილები, თამარ პოპიაშვილი, ლეილა სულაშვილი ოჯახებით იუწყებიან და თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ალადაშვილს მეუღლის, ირინა და ირმა გორაშვილებს მამის

გორის გორაშვილის

გარდაცვალების გამო.

„ჩემი ცხოვრების მთავარი მოტივაცია სიყვარულია“

თვითმფრინავი რეისის ნომრით tk378 თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაეშვა. მგზავრთა დასახვედრად უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. სპორტსმენები, ახლობლები, მეგობრები, მწვრთნელები, უბრალოდ გულშემატკივრები - ყველა პარატაეკვონდოს ნაკრების დაბრუნებას ელოდა. მათ არამხოლოდ გუნდურ, არამედ ინდივიადუალურ ბრძოლებშიც საუკეთესო შედეგები აჩვენეს და სამშობლოს ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლებით დაუბრუნდნენ.

მომენტი ძალიან ამაღელვებელია,

რადგან ჩამომსვლელთა რიგებში ჩვენი საამაყო, ღირსეული და გამორჩეული დედოფლისწყაროელი, არბოშიკელი სპორტსმენი გიორგი ხიზანიშვილია, რომელმაც მსოფლიოს მასშტაბით მიღწეული წარმატებებით არაერთხელ ასახელა ქვეყანა, მისი მხარე და სოფელი. მსოფლიო ჩემპიონატზე მისი გამოსვლით, საბრძოლო ტექნიკით თუ სულიერი სიმტკიცით აღფრთოვანებულმა კომენტატორებმა მას „ქართველი ბრუს ლიც“ კი უწოდეს. თუმცა, მისთვის წარმატება არც ეს „წოდება“ გახდა და არც კომენტატორების დაუცხრომელი ქება. მისი წარმატება ამ ყველაფრისგან განსხვავებულია- გიორგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მსოფლიო ჩემპიონობამდე განვლილ გზაზე, ემოციებზე, განცდებსა თუ სამომავლო გეგმებზე გიორგი გაზეთ „შირაქს“ ესაუბრა:

-გიორგი, მოგვიყევი იმ შეჯიბრის შესახებ, რომელშიც სულ ახალხანს მიიღე მონაწილეობა და საიდანაც ასეთი დიდი წარმატებით - მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდი.

გაზეთის ფურცლებიდან მივესალმები „შირაქის“ ერთგულ მკითხველს. გეტყვით, რომ 2023 წლის 21-24 სექტემბერს მექსიკის შტატ ვერაკრუსში, გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი პარატაეკვონდოში, რომელშიც 90 ქვეყანასთან ერთად საქართველოც იღებდა მონაწილეობას.

-რატომ იყო ეს შეჯიბრი მნიშვნელოვანი და რას ნიშნავს შენთვის მსოფლიო ჩემპიონობა?

რაც შეეხება ამ შეჯიბრის მნიშვნელოვანებას, ეს მეტად მნიშვნელოვანი და, ვიტყოდი, აუცილებელი იყო ჩემთვის, როგორც პარასპორტსმენისთვის, ვინაიდან ასეთი დონის შეჯიბრში მონაწილეობის მიღება დიდ გამოცდილებას მძენს. გარდა ამისა,მონაწილეობა იმ კატეგორიის სპორტსმენებს შორის, რომელშიც მე გამოვდივარ, ვგულისხმობ ჯ41 -58კგ,. კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან ამ წარმატებული გამოსვლის შემდეგ, ჩემი რეიტინგი მკვეთრად გაიზრდება და საერთო რეიტინგის მესამე ადგილიდან, პირველზე გადმოვინაცვლებ. შედეგად, გავუსწრებ საკმაოდ მაღალრეიტინგულ, რუს და თურქ პარასპორტსმენებს. რაც შეეხება იმას, თუ რას ნიშნავს იყო მსოფლიო ჩემპიონი, ეს ჯერ კიდევ სრულად გააზრებული არ მაქვს, თუმცა, ამ ტიტულით კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ ჩემი სოფლის, მუნიციპალიტეტის და მთელი ქვეყნის წინაშე.

-გაგვიზიარე შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ემოცია ან მომენტი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა შენს გამოსვლებსა და მიღწეულ წარმატებაში.

ჩემთვის ყოველი შეჯიბრი ჭარბ ემოციებთან არის დაკავშირებული. ნახევარფინალში საბრძოლველად როდესაც გავდიოდი, უნებლიედ, გონებაში გაჩნდა სურათ-ხატი, რომ პედესტალზე პირველ ადგილზე ვიდექი, ცხადია ეს მოულოდნელი წარმოსახვა იყო. რაც შეეხება საბოლოო, ფინალურ ბრძოლას, აქ იმდენად თავდაჯერებული ვიყავი, ისე თავისუფლად ვგრძნობდი თავს და ვფლობდი სხეულს, რომ წარმატება გარდაუვალი იყო. ეს იყო ის ორი მომენტი, რომლებმაც, ვფიქრობ, დამარწმუნა საკუთარ შესაძლებლობებში. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად მიმაჩნია, რომ სწორედ ესაა ის „საიდუმლო გასაღები“, რომლითაც გადამწყვეტ მომენტში შეგიძლია მენტალურად სძლიო მეტოქეს. მე ეს გამომივიდა.

-როგორი იყო გზა მსოფლიო ჩემპიონობამდე? რა სირთულეებთან თუ გამოწვევებთან არის დაკავშირებული თითოეული შეჯიბრი?

ეს გზა ნამდვილად არ ყოფილა ადვილი, სხვა შეჯიბრებებისგან განსხვავებით. ღელვის მიზეზიც მქონდა, რადგან ჩემი წასვლა ჩემპიონატზე გამგზავრების წინა დღეებში გადაწყდა. ეს მოლოდინით გამოწვეული ერთგვარი სტრესი იყო მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ჩვენ შეჯიბრისთვის ვემზადებოდით. დამერწმუნებით, ალბათ, რომ ემოციურად ძალიან რთულია, როდესაც მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით დიდი კითხვის ნიშანია. თანაც მაშინ, როდესაც ყოველდღე, ყოველ დილა, ორ საათიანი ვარჯიში თუ სპარინგი გაქვს. ლოგიკურია არ გინდა შრომა წყალში ჩაგეყაროს და ხელოვნურმა ბარიერებმა ხელი შეგიშალოს. გარდა ამისა, სპორტს თან ახლავს გარკვეული სახის ფიზიკური ტრავმები, რამაც შესაძლოა ხელი შეგიშალოს ინტენსიურ მომზადებაში, რაც შეფერხების მეტ რისკსს აჩენს. ამგვარად ბედნიერი ვარ, რომ დავძლიე ჩემს წინაშე არსებული ყველა გამოწვევა.

- უკვე მოახერხე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება. რა არის შენი შემდეგი ნაბიჯი?.

ისევ ვაგრძელებ აქტიურ მომზადებას შემდეგი შეჯიბრებებისთვის, თუმცა, 2024 წლის ოლიმპიადაზე მონაწილეობა იქნება ყველაზე დიდი მიზანი, რომლის მისაღწევადაც ყველაფერს გავაკეთებ და დიდი ენერგიით, მოტივაციით ვივარჯიშებ. ხშირად მითქვამს თქვენთან ინტერვიუში და ახლაც გავიმეორებ, რომ ყოველ შეჯიბრზე ჩემი მთავარი მიზანი ჩემი მაქსიმუმის ჩვენებაა, იმის, რაც შემიძლია. თამამად ვაცხადებ, რომ ახლაც და მომავალშიც ეს ასე იქნება.

-საქართველოს პარატაეკვონდოს ნაკრებმა მსოფლიო შეჯიბრზე გუნდურ ასპარეზობაში მეორე ადგილი დაიკავა, რაც ძალიან სასიხარულო და აღსანიშნავია. როგორ აფასებ ამ ფაქტს?

მე, პირადი წარმატებით, ჩემი წვლილი შევიტანე საერთო გუნდურ საქმეში და ამით კიდევ უფრო მეტად გახარებული ვარ. ეს ფაქტი თავისთავად კიდევ ერთი დიდი, აღსანიშნავი მოვლენაა. ეს არის გუნდის საერთო წარმატება და მის მოპოვებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი გუნდის მთავარ მწვრთნელს, შოთა გოჩიაშვილს. დაჯილდოების ცერემონიაზე, როდესაც ვხედავდი ბრიტანეთის,აზერბაიჯანის გუნდის მწვრთნელებს შორის ჩვენი გუნდის ღირსეულ მწვრთნელს, ძალიან საამაყო მომენტი იყო. თქვენს მკითხველს შევახსენებ, რომ ჩვენი გუნდი, სულ რაღაც სამი წელია, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ღონისძიებებში და უკვე ასეთი შედეგები აქვს ნაჩვენები.

-გყავს თუ არა ამ სპორტში მისაბაძი ადამიანი?

ყველაზე მეტად მისაბაძი, „ოლიმპიური სიმშვიდის“ მქონე პირადი მწვრთნელი, შოთა გოჩიაშვილია. მომწონს თუ როგორ უდგება საქმეს, თავდაუზოგავია, შრომისმოყვარეა და საკუთარი საქმის პროფესიონალი. გარდა ამისა, ის გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობით, ადამიანური ღირებულებებითა თუ ღირსებებით. ის ადამიანია, ვისგანაც შემიძლია ბევრი რამ ვისწავლო.

გიორგი მწვრთნელთან – შოთა გოჩიაშვილთან ერთად

-რა არის შენი მთავარი მოტივაცია? ვინ არიან ადამიანები, ვინც წარმატების მიღწევაში ყველაზე მეტად გეხმარებიან?

ჩემი ცხოვრების მთავარი მოტივაცია ეს სიყვარულია, ყველასა და ყველაფრისადმი. დღეს თითქოს ამ სიტყვას ყავლი გაუვიდა და გაფერმკრთალდა, თუმცა, ზუსტად სიყვარულია რაც მაძლევს ცხოვრების,სიცოცხლის,სიხარულის განცდისა და ბედნიერების ძალას. ალბათ, დამეთანხმებით, რომ წარმატებას მხოლოდ ერთი ადამიანი არ აღწევს, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ასეა. აქედან გამომდინარე, დედა არის ის ადამიანი, ვინც ყოველთვის ჩემი ყველაზე დიდი მხარდამჭერი და მოტივატორია. გარდა ამისა, ჩემი ბიძაშვილი, ზურა ხიზანიშვილი და გუნდის წევრი გიორგი ნიკოლაძე, ჩემი სამსახურის ყველა თანამშრომელი, ყოფილი და ახლანდელი. რაღა თქმა უნდა, ჩემი მეგობრები, რომლებიც მხარს მიჭერენ ყოველთვის, ყველა საქმეში. ამიტომ ვისარგებლებ შემთხვევით და თითოეულ მათგანს მადლობას გადავუხდი, რადგან მათ გარეშე ჩემი წარმატება უბრალოდ არ იქნებოდა.

გაზეთი „შირაქი“ ულოცავს გიორგი ხიზანიშვილს მიღწეულ წარმატებას, უსურვებს მას უმაღლესი პედესტალებისა თუ სიმაღლეების დაპყრობას, ქვეყნის, მუნიციპალიტეტის, სოფლისა თუ ყველა იმ ადამიანის გახარებას, რომელიც ასე ელოდება მის ყოველ გამოსვლას. ვუსურვებთ უანგარო მხარდაჭერასა და თანადგომას, რომელიც, სამწუხაროდ, ასე აკლია დღევანდელ სამყაროს... ბოლოს, დავეთანხმებით გიორგის და მაინც ვიტყვით, რომ „ცხოვრების მთავარი მოტივაცია სიყვარულია“, ყველა დაბრკოლებისა თუ წინაღობის დაძლევის უკონკურენტო საშუალება.

ესაუბრა
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ოპერის და ბალეტის თეატრმა 172-ე სეზონი გახსნა

16-17 სექტემბერს ოპერის თეატრმა 172-ე სეზონი ზაქარია ფალიაშვილის ოპერით „აბესალომ და ეთერი“ გახსნა. ზღვა მაყურებელს მოეყარა თავი სეზონის გახსნაზე. სპექტაკლს დირიჟორობდა დიდი მაესტრო ზაზა აზმაიფარაშვილი. დამდგმელი რეჟისორი გიზო ყორდანია.

16 სექტემბერს მთავარ პარტიებს ასრულებდნენ ოპერის წამყვანი სოლისტები: აბესალომი - თემურ გუგუშვილი, ეთერი - მაყვალა ასპანიძე, მურმანი - ვახტან ჯაშიაშვილი, მარიხი - მარიკა მაჩიტიძე.

17 სექტემბერს იმღერეს: აბესალომი - არმაზ დარაშვილი, მურმანი - გიორგი ლომისელი, ეთერი - თამარ ლებანიძე.

თემურ გუგუშვილის შესრულებულმა არიამ მოულოდნელი ანტრაქტი გამოიწვია - 20 წუთის განმავლობაში მაყურებელი ტაშით აჯილდოვებდა აბესალომის პარტიის უბადლო შემსრულებელს 76 წლის თემურ გუგუშვილს, რომელსაც აქვს ლამაზი ტემბრის, სრული დიაპაზონის ხმა. გამოირჩევა მაღალი ვოკალური კულტურით, ამიტომაც იყო, რომ ორივე დღეს სპექტაკლის განმავლობაში მხურვალე აპლოდისმენტები არ ცხრებოდა როგორც თემურ გუგუშვილის, მაყვალა ასპანიძის, ბრწყინვალე ტენორის არმაზ დარაშვილის, ბარიტონის გიორგი ლომისელის მიმართ. მათმა (აბესალომის და მურმანის) დუეტმა მოლოდინს გადააჭარბა...როგორც ყოველთვის ხანგრძლივი ოვაცია დაიმსახურა სახელმწიფო თეატრის გუნდმა, ორკესტრმა, დირიჟორმა ზაზა აზმაიფარაშვილმა, ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა „სუხიშვილები“ და სპექტაკლში მონაწილე თითოეულმა სოლისტმა. არ შეიძლება არ აღვნიშნო თემურ გუგუშვილის შვილიშვილის, აკაკი გუგუშვილის ბრწყინვალედ შესრულებული მსახურთუხუცესის პარტია.

სპექტაკლის შემდეგ კომენტარი ვთხოვე **მარინა მაჭავარიან-ანჯაფარიძეს: „არ დგავიწყდეთ, რომ მე ზურაბ ანჯაფარიძის აბესალომის პარტია არაერთხელ მაქვს მოსმენილი, მაგრამ მუხლს ვიდრეკ დღევანდელი აბესალომის მაღალი პროფესიონალიზმის წინაშე, ბატონი თემური თვითონაც არ მალავს ასაკს, მას მგზნებარე ჭაბუკივით ხმა აქვს, ენერგიაც და ხიბლიც“.** თაობათა ცვლის პროცესს ვერაფერი შეაჩერებს. ახალგაზრდებმა არმაზ დარაშვილმა და გიორგი ლომისელმა ბრწყინვალედ იმღერეს მთავარი პარტიები.

საბალეტო სეზონი 27, 28, 29, 30 სექტემბერს და პირველ ოქტომბერს ბალეტის ბალეტად აღიარებული პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტით „გედების ტბა“ გაიხსნა. ბალეტის ხელმძღვანელი მსოფლიოს პრიმა ბალერინა, რომლის დასიც სულ ცოტა ხნის წინ აშშ-ში მართავდა გასტროლებს, ნინო ანანიაშვილი, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი მაისურაძე. ხუთივე წარმოდგენამ სრული ანშლაგით ჩაიარა.

რუსთაველის თეატრმა 145-ე სეზონი გახსნა

29 სექტემბერს რუსთაველის ეროვნულმა თეატრმა 145-ე სეზონი გახსნა ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეს“ წარდგენით, რომლის პრემიერა 2023 წლის 5 მაისს შედგა.

სპექტაკლის დაწყებამდე მაყურებელს მისასალმებელი სიტყვით მიმართა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **რობერტ სტურუამ.**

რეჟისორი გახლავთ თავად რობერტ სტურუა, მუსიკალური გაფორმება სვიმონ ჯანგულაშვილისა და რობერტ სტურუასი, კოსტიუმების მხატვარი ანა ნინუა, ქორეოგრაფი კოტე ფურცელაძე, რეჟისორის თანაშემწე - თეა მარგველაშვილი.

სპექტაკლში გამოყენებულია: ბახის, ბეთჰოვენის, შოპენის, მალერის, ჩაპლინის, ყანჩელის, რატილისა და სხვა კომპოზიტორების მუსიკა, რომელიც უფრო მეტ ხიბლს მატებს ამ ბრწყინვალე წარმოდგენას. მთავარმა მოქმედმა გმირებმა დიონისე - გოგა ბარბაქაძე და პრომეთე - ლევან ხურცია, ესქილეს წარმოსახვით სამყაროს გვაზიარეს, ოკეანის ასულთა ქორში ვიხილეთ რუსთაველის თეატრის დასის ახალგაზრდა მსახიობები: მანანა აბრამიშვილი, ანა ამილახვარი, ნინო არსენიშვილი, ეკა მინდიაშვილი, ქეთი სვანიძე, ნატალია ყუროშვილი, ქეთი ხიტირი. თითოეულმა მათგანმა ცეცხლი დაანთო სცენაზე.

რუსთაველის თეატრის რეპერტუარს განუმეორებელი რეჟისორის რობერტ სტურუას კიდევ ერთი შედევრი სპექტაკლი „მიჯაჭვული პრომეთე“ შეემატა. ჩვენი გაზეთის მკითხველს მინდა შევახსენო, რომ სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა დამეგობრებული იყო რუსთაველის თეატრთან, კოლმეურნეობის 60 წლისთავის საიუბილეო სალამოზე მოწვეული იყო რობერტ სტურუა, რომელმაც შექსპირის „მეფე ლირის“ პრემიერაზე მთელი დარბაზი მიიწვია...ეს მეგობრობა დღემდე გრძელდება.

ნანა ჭიჭინაძე

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 09.10		სამშაბათი 10.10		ოთხშაბათი 11.10		ხუთშაბათი 12.10		პარასკევი 13.10		შაბათი 14.10		კვირა 15.10	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
21°	8°	14°	6°	16°	7°	15°	6°	15°	7°	17°	7°	17°	8°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი:
ქალაქი დედოფლისწყაროს, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ,
№6014-468.
გაზეთის გამოწერა
წელიწადში – 20 ლარი